ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა"+ „სერვანტესი"
**8 ლარი**
16 მაისიდან 30 მაისამდე




სამშაბათი, 17 მაისი, 2011 | №115 (5496) | ფასი: 30 თეთრი

# წავა თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში



გვ.3

## 21 მაისსაც ქართველი ხალხის გვერდით ვიდგებით!



გვ.3

## ვემიჯნებით ამერიკის საელჩოსთან დაგეგმილ საპროტესტო აქციას!

გვ.5



გვ.6

## სააკაშვილმა მძარცველი დინოზავრები დააჯილდოვა

## აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას არავინ აღიარებს

გვ.4





გვ.6

## საქართველოს მუსლიმანები ბაქოს აღარ დაემორჩილებიან

რა მიზანს ემსახურება „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს" შექმნა

## ოქრუაშვილი ბურჯანაძის წინააღმდეგ სააკაშვილის მითითებით მოქმედებს

გვ.5



ხელისუფლება კიდევ ბევრ პროვოკაციაზე წავა

## რატომ დუმს ხელისუფლება საინგილოში მიმდინარე პროცესებზე



გვ.7

## კონსტიტუციაში ისევ ცვლილებები შეაქვთ

გვ.9

**3090**

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** ზუგდიდის რეგიონის მოსწავლეების ვიზიტი რეგიონულ სასამართლოში

**3** ქართველმა მოსამართლეებმა 15 მაისს პროფესიული დღე აღნიშნეს

**8** პატრიარქმა 650 ბავშვი მონათლა

**11** ფიფა ფეხბურთის წესებს ცვლის

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# წავა თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში

**ვის დააფინანსებს ბიძინა ივანიშვილი? ეს შეკითხვა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ივანიშვილმა რამდენიმეხნიანი დუმილი დაარღვია და განცხადება გააკეთა. უფრო სწორად, ივანიშვილმა „ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურის მეშვეობით ლეიბორისტულ პარტიას უპასუხა.**



ნანა მიშელაშვილი

ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში ზოგიერთმა მისი პოლიტიკური ზრახვებიც ამოიკითხა, ზოგიერთი კი დარწმუნებულია, რომ ივანიშვილი გაბრაზდა და იმპულსური განცხადება გააკეთა. თუ ივანიშვილი პოლიტიკაში ჩართვას გადაწყვეტს, მაშინ პოლიტიკურ არენაზე საკმაოდ სერიოზული მოთამაშე ჩნდება, რომელსაც საკმაოდ დიდი კაპიტალი აქვს.

რა გზას აირჩევს ივანიშვილი? დააფინანსებს არსებულ რომელიმე პარტიას და თავად ჩრდილში დარჩება თუ ახალ პოლიტიკურ პარტიას შექმნის? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელი ერიდება. პოლიტიკოსები ამბობენ, რომ მარჩიელობას არ დაიწყებენ და მოვლენების განვითარებას დაელოდებიან. საერთოდ კი ბევრს აინტერესებს, პოლიტიკაში მოსვლის შემთხვევაში ვის აირჩევს ივანიშვილი საკუთარ პოლიტიკურ პარტნიორად.

ბიძინა ივანიშვილის ადრესატი გასულ კვირას შალვა ნათელაშვილი გახდა. ის ქართველმა ლეიბორისტებმა გააბრაზეს. ამიტომაც „ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურმა საკმაოდ ვრცელი განცხადება გაავრცელა, რომელშიც პოლიტიკოსებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი ამოიკითხეს.

„ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურის განცხადებაში ნათქვამია, რომ „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი დაახლოებით 3 წელია, ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ დროდადრო აგორებული პიარკამპანიის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ გვევლინება.

— 11 მაისს, ეგრეთ წოდებული „მხილების კვირეულის" ფარგლებში, მთაწმინდაზე ის და მისი თანამოაზრე ოციოდე ადამიანი შეიკრიბნენ და მორიგი შოუ გამართეს, ოღონდ თემატიკა ძველი რეპერტუარიდან არის — ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს ყოველწლიურად 150 მილიონი დოლარით აფინანსებს პირადად და ამით მის ხელისუფლებას აძლიერებს. ნათელაშვილისგან აბსურდული განცხადებები აღარავის უკვირს. „ქართუ ჯგუფის" პრესსამსახური თითქმის ყოველთვის არიდებდა თავს მთავარი ლეიბორისტის საფუძველს მოკლებულ, აბსურდულ, უპასუხისმგებლო და უპრინციპო განცხადებებზე პასუხის გაცემას. თუმცა, ამჯერად შევეცდებით, ვუპასუხოთ კითხვებს: რა მიზანს ემსახურებოდა ნათელაშვილის მორიგი აქცია? და საერთოდ, რატომ ებრძვის იგი უკვე სამ წელიწადზე მეტია ბიძინა ივანიშვილს? — ნათქვამია განცახადებაში.

„ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურის განცხადების მიხედვით, ნათელაშვილის მტკიცებით, სწორედ ივანიშვილია დამნაშავე, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ აქამდე გაძლო.

— ნათელაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ივანიშვილის დამსახურებაა, სააკაშვილის ხელისუფლება აქამდე რომ არ „ჩამოიშალა". იგი განცხადებებს აკეთებს საქართველოში და ივანიშვილს ქართველი ხალხის მტრად წარმოაჩენს. მისი მტკიცებულებების აბსურდულობა იქამდეც კი მივიდა, რომ თითქოს ივანიშვილი აფინანსებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აიარაღებს მას ქიმიური და სხვა იარაღით, რომლითაც სპეცრაზმელებმა 7 ნოემბრის მასობრივი დემონსტრაციის მონაწილეები დაარბიეს. ნათელაშვილის მტკიცებით, თითქოს მათი საპრემიო თანხაც სწორედ ივანიშვილმა გაიღო. გარდა ამისა, ნათელაშვილი, იცის რა, რომ ბატონ ბიძინას კაპიტალის მესამედი რუსეთში აქვს, დახმარებისთვის მიმართავს რუსეთის მთავრობას და პირადად პუტინსაც კი — დაეხმაროს ქართველ ხალხს ივანიშვილის განადგურებაში, რადგან მხოლოდ მისი, როგორც საქართველოს მთავარი მტრის ჩამოშორებით გახდება შესაძლებელი სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა, — ნათქვამია „ქართუ ჯგუფის" განცხადებაში. მასში ასევე აღნიშნულია, რომ ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას ერთი თეთრითაც არასოდეს დახმარებია, მაშინ ნათელაშვილის განცხადებები ურთიერთგამომრიცხავი, წინააღმდეგობრივი და აბსურდულია.

განცხადებაში ასეთი კითხვაც არის დასმული: მაშ, რა არის ნათელაშვილის საქციელის რეალური მიზეზი? განცხადების მიხედვით, თუკი თვალს გადავავლებთ პოლიტიკურ ძალთა ახლანდელ განაწილებას, არსებობს სახელისუფლებო პარტია, ოპოზიცია და ეგრეთ წოდებული ფსევდოოპოზიცია, არსებობს ასევე სტაბილური დაბალანსებული ურთიერთობები მათ შორის და ეს ვითარება სამთავრობო გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის სავარაუდო წინაპირობაა.

— ახლანდელი ხელისუფლება ასეთ სიტუაციაში ძალზე კომფორტულად გრძნობს თავს და საქმე მშვენივრად აქვს აწყობილი: სიტუაციას აბალანსებს, ბიზნესს აკონტროლებს; თავისი მანიპულაციებით მიაღწია იმას, რომ ფსევდოოპოზიციას — საპარლამენტოსაც და არასაპარლამენტოსაც შესანიშნავად მართავს... ნამდვილ ოპოზიციურ მოძრაობას საკმაოდ უჭირს სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. ასე რომ, მოახლოებული არჩევნების წინ სააკაშვილის პოზიციები საკმაოდ მყარია... ბატონ ბიძინას არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი აპოლიტიკური ადამიანია. მას არანაირი პოლიტიკური ინტერესები არ გააჩნია და, ეს რომ ასეა, საქართველოში მისი ცხოვრების დაახლოებით ათწლიანი პერიოდიც ადასტურებს. მაგრამ, ხომ არსებობს იმის ალბათობა, რომ თუ თვითონ პირადად არ მოიწადინებს პოლიტიკურ პროცესში ჩართვას, ფინანსური ან სიტყვიერი დახმარება აღმოუჩინოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ან მთლიანად ოპოზიციას? ხომ შესაძლებელია, რომ ნათელაშვილის მიერ ნახსენები 150 მილიონი ივანიშვილმა სწორედ აქეთ მიმართოს? რასაკვირველია, მისი ეს ნაბიჯი აუცილებლად გამოიწვევდა ზემოხსენებული ბალანსის მკვეთრად დარღვევას. სწორედ ახლანდელ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს არსებული ბალანსის დარღვევა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილმა ვინმე არ დააფინანსოს და რომელიმე პოლიტიკურ ძალას მხარში არ ამოუდგეს იგი, — ნათქვამია განცხადებაში.

მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის განცხადება მოისმინეს, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა ვარაუდები გამოთქვეს.

ვის მიმართა და ვინ იგულისხმა ივანიშვილმა? შემოდის თუ არა პოლიტიკურ არენაზე ახალი ფიგურა?

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერ ლევან ვეფხვაძის განცხადებით, ივანიშვილის განცხადება ქართულ ძველ ანდაზას ახსენებს — მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონეო. ლევან ვეფხვაძის თქმით, ივანიშვილი მიმართავს ნათელაშვილს და მას უფრო აინტერესებს, რომ ქართველმა საზოგადებამ გაიგოს მისი პოზიცია სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ.

— ივანიშვილი ძალიან ღიად საუბრობს ელიტურ კორუფციაზე, რომელიც არის ხელისუფლებაში, ღიად საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც ხელისუფლებას აქვს საკუთარ საზოგადოებასთან. ვფიქრობ, ამ დონის მოთამაშის შემოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ნამდვილად არ არის სასურველი, რადგან ირღვევა მთავრი ბალანსი, ვინაიდან დღეს რაც სააკაშვილს უპირატესობა ჰქონდა, ფული, ამ შემთხვევაში ეს უპირატესობა აღარ იქნება, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

კითხვაზე, შემოდის თუ არა ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე, ვეფხვაძის პოზიცია ასეთია: პრაქტიკულად, მისი განცხადება მისი პოზიციის გამოხატვაა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის თვითონ საჯაროდ შემოდის პოლიტიკურ ასპარაზზე, მაგრამ ის პირველად აფიქსირებს ღიად ამ პოზიციას, მიუხედავად იმისა, რომ გასული თვეების განმავლობაში რამდენჯერმე გვსმენია უკმაყოფილება სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. ამ ადამიანზე შეიძლება ითქვას ის, რომ ქართულ ბიზნესში ერთადერთი ადამიანია, რომელიც, თუკი რაიმე სიკეთეს აკეთებს, ამას ღიად არ ამბობს, არც იმ ქველმოქმედებაზე, რომელსაც ის სჩადის.

ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ ნათელაშვილის აქცია უფრო საბაბი იყო, ვიდრე მიზეზი. ივანიშვილმა ეს გამოიყენა იმისთვის, რომ სწორედ ეს პოზიცია გაეხმოვანებინა.

— ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილის ადგილას ნამდვილად არ შემშურდებოდა, თუ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი წონის ფიგურა მისი ოპონენტი ხდება, რადგან მან 3-4 წელი შეალია დაახლოებით მსგავსი ფინანსური წონის მქონე ფიგურასთან ბადრი პატარკაციშვილის სახით ბრძოლას და ეგონა, რომ ამოისუნთქა და დაისვენა. მაგრამ, როგორც ჩანს, ის შეცდომები და გაურკვეველი პოლიტიკა ბიზნესის მიმართ, რომელსაც მისი ხელისუფლება ახორციელებს, ამ ქვეყნებში მტრებს ნამდვილად უმრავლებს, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

ვინ შეიძლება დააფინანსოს ივანიშვილმა საპარლამენტო ან არასაპარლამენტო პარტიებიდან?

ლევან ვეფხვაძე განმარტავს, რომ ივანიშვილს კრიტიკული პოზიცია აქვს გამოთქმული ზოგიერთ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციაზე, მაგრამ ამ შენიშვნას ქრისტიან-დემოკრატები არ იღებენ.

— აქ საუბარია იმ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებიც თავისდაუნებურად უხანგრძლივებენ დროს ხელისუფლებას. ჩვენც ვიზიარებთ კრიტიკას, რომ არსებობს ძალები როგორც პარლამენტში, ასევე მის გარეთ, რომლებიც სააკაშვილს არსებობას უხანგრძლივებენ, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ. მან თავი შეიკავა იმ საპარლამენტო ძალების დასახელებისგან, რომლებიც ხელისუფლებას არსებობას უხანგრძლივებენ.

როდის ჩაერთვება ივანიშვილი პოლიტიკაში — საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების წინ? ამ შეკითხვაზე ლევან ვეფხვაძე განმარტავს, რომ საპარლამენტო არჩევნები თავისი არსით უკვე საპრეზიდენტო არჩევნების ტოლფასია. მისივე აზრით, თუკი აქამდე აღმასრულებელ ხელისუფლებას განსაზღვრავდა პრეზიდენტი და პარლამენტი შედარებით მეორეხარისხოვანი იყო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით, პრაქტიკულად, ჩვენ ვირჩევთ ქვეყნის მმართველს, ანუ ვინ გახდება ქვეყნის მმართველი გარკვეული პერიოდის მერე.

ლევან ვეფხვაძის თქმით, 2012 წელი — ეს არის ის პერიოდი, როდესაც განსაკუთრებულად იქნება მოსალოდნელი სხვადასხვა დაჯგუფებისა და ახალ-ახალი პირების გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე. „რამდენად იქნება თავად ბიძინა ივანიშვილი ეს ფიგურა, არ ვიცი, რადგან მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ მის გასაჯაროების სურვილს. მას ეს სურვილი არასდროს ჰქონია, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ის გარკვეული ძალის მხარდამჭერი გახდეს, — ასეთია ვეფხვაძის პოზიცია.

ის ამბობს, რომ მათთან ივანიშვილს კონსულტაციები არ ჰქონია.

საპარლამენტო უმრავლესობა გუშინ ბიძინა ივანიშვილის პოზიციების კომენტირებისგან თავს იკავებდა.

უმრავლესობის რამდენიმე წევრმა კი ის მოიმიზეზა, რომ მათ „ქართუ ჯგუფის" განცხადება არ წაუკითხავთ და, ამდენად, კომენტარს ვერ გააკეთებენ.

უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ ორი სუბიექტის — ივანიშვილისა და ლეიბორისტების დავაში ჩარევას არ აპირებს.

სანამ უმრავლესობა კომენტარს არ აკეთებს, ოპოზიცია კი ვარაუდს გამოთქვამს, უცნობია თავად ბიძინა ივანიშვილის პოზიცია პოლიტიკაში წასვა-არწასვლასთან დაკავშირებით.

## ზუგდიდის რეგიონის მოსწავლეების ვიზიტი რეგიონულ სასამართლოში

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოებს სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ. შეხვედრა სასამართლოს ინიციატივით გაიმართა. მოსწავლეებმა დაათვალიერეს სასამართლოს ადმინისტრაციული შენობა, სასამართლოს სხდომის დარბაზები.

მოსამართლე დავით კეკენაძის მიერ წაკითხულ იქნა ლექცია თემაზე ,,ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით და მართლმსაჯულების როლი აღნიშნულ საკითხში", მოსწავლეები დაინტერესდნენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტით, რაზეც მიიღეს შესაბამისი განმარტებები აღნიშნული ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, მის როლზე მართლმსაჯულების განხორციელებაში. დაისვა უამრავი შეკითხვა სამართლებრივ საითხებზე (მაგ. სიკვდილით დასჯის გაუქმების მიზანშეწონილობაზე, ნარკომანების მკურნალობაზე და არა დასჯაზე და ა.შ), რაზედაც მოსამართლემ გასცა ამომწურავი პასუხები.



სკოლის მოსწავლეების ვიზიტები სასამართლოებში მომავალშიც გაგრძელდება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების მოსწავლეებთან შეხვედრებს.

## მიხეილ ქარელს საფრანგეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა

შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორს მიხეილ ქარელს საფრანგეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ქარელის ნათესავებმა აცნობეს, რომლებსაც თავშესაფარის მიღებაზე ინფორმაცია თავად ქარელმა შეატყობინა.

ნათესავების განცხადებით, პოლიტიკური თავშესაფარის მიღების შემდეგ საქართველოში ექსტრადიციის საკითხის განხილვა შეწყდება.

საქართველოს ხელისუფლება საფრანგეთისგან ქარელის ექსტრადიციას ითხოვდა. ქარელი პოლიტიკურ დევნილად აღიარებას და თავშესაფარს 2008 წლიდან ელოდებოდა. პროცესის გაჭიანურების გამო ქარელმა „ჰუმან რაითს ვოჩის" ოფისსაც მიმართა. ქარელს მსჯავრი კორუფციულ დანაშაულში დაედო და ქართულმა სასამართლომ 16 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# 21 მაისსაც ქართველი ხალხის გვერდით ვიდგები!

შორენა კოწოწაშვილი

**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია ფიქრობს, რომ სააკაშვილს შიშის თვალები გაფართოებული აქვს. თუმცა, მას ეჭვი ეპარება, წარმატება მოიტანოს იმ პროცესმა, რომელსაც ოქრუაშვილი-ბურჯანაძე დროში თანხვედრილად და ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით წარმართავენ.**



გთავაზობთ ინტერვიუს **ეკა ბესელიასთან.**

*— ქალბატონო ეკა, როგორ შეაფასებდით დღეისათვის ქვეყანაში შექმნილ ვითარებას?*

— დღევანდელ ვითარებას ასოციაციურად დავარქმევდი ასე: შეშლილი, შეშლილი ქართული პოლიტიკა. რაც ამ ბოლო დღეებში ქართულ პოლიტიკაში ხდება, გონიერებისა და რაციონალური აზროვნებისგან ძალიან შორს არის, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური დღის წესრიგი მსოფლიოში ძალიან მოკლე დროში შეიცვალა. სამწუხაროდ, საქართველო არ არის დიდი პოლიტიკის მოთამაშე. ეს როლი სააკაშვილმა დააკარგვინა, მიუხედავად მისი სტრატეგიული მდებარეობისა რეგიონში და დააკარგვინა უგუნური და სრულიად არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკის გამო — ორი ბატონის მსახურების გამო. სააკაშვილმა გადაწყვიტა, ერთდროულად ყოფილიყო რუსეთის ყმა, ჩაებარებინა მისთვის სტრატეგიული ობიექტები; მეორე მხრივ, ხმამაღალი განცხადებებით ყოფილიყო დასავლეთის ხელის ბიჭი. ამ ორი ბატონის მსახურებამ განაპირობა ის, რომ ქვეყანა დიდი რყევებისა და დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. დღეს ძალიან შეცვლილია სააკაშვილის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება. ყველაზე დიდი დარტყმა სააკაშვილის იმიჯს აგვისტოს ომმა მიაყენა. მან საერთაშორისო საზოგადოება ვერ გააცურა. ტალიავინის დასკვნამ კარდინალურად მოატრიალა სააკაშვილის საწინააღმდეგოდ საერთაშორისო საზოგადოება. მას ყველამ ზურგი შეაქცია. სააკაშვილს უყურებენ, როგორც საერთაშორისო სასამართლოში სავარაუდო ბრალდებულ პირს. შემთხვევითი არ არის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, 2010 წლის შეფასებები, სადაც უმწვავესი კრიტიკაა საქართველოსი ყველა მიმართულებით. მწვავე განცხადებები კეთდება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. თუნდაც ევროკავშირის პრეზიდენტ ბაროზოს სახელით გამოგზავნილი წერილი ავიღოთ. ევროკავშირის ხელმძღვანელობამ უკვე კონკრეტულ მიმართვებზე დაიწყო რეაგირება და მხარდაჭერა უფლებადამცველების მიმართ. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ერთმნიშვნელოვნად ითხოვს სააკაშვილისგან — ის ან პატივს სცემს დემოკრატიულ პრინციპებს და დაემშვიდობება ტირანიისა და ავტორიტარული მმართველის როლს, ან თავად უნდა წავიდეს მიტაცებული სკამიდან. როდესაც საერთაშორისო მხარდაჭერა ძალიან შეიცვალა და სააკაშვილის მხარდაჭერიდან ქართველი ხალხის მხარდაჭერაზე გადმოვიდა, ეს ოპოზიციას ოსტატურად უნდა გამოეყენებინა. სრულიად არაორდინარულია, როდესაც ასეთი გარეფაქტორების ფონზე შიგნით დაიწყო შიდა ომი, რომელმაც ყველა ზღვარს გადააჭარბა. უკვე არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც დაპირისპირებულ ბანაკებს შეჩერებს. რომ გგონია, ერთი კონფლიქტი ჩაცხრა, იწყება მეორე. უკვე აღარ ვიცი, რამდენი დუელიანტი გვყავს ჩვენ და რამდენმა პოლიტიკურმა ლიდერმა გამოუცხადა ერთმანეთს დაუნდობელი ბრძოლა. ეს ძალიან საზიანო პროცესია.

***— ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ სააკაშვილი პანიკაშია. რეალურად დღეს ოპოზიცია უფრო პანიკაშია?***

— სააკაშვილის შიშის თვალები რომ გაფართოებულია, ამას არ გამოვრიცხავ, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის შიდა ომი სააკაშვილს ერთგვარად ამ საფრთხეებს უმოკლებს. ასე რომ არ იყოს, არ დააპატიმრებდნენ რუსთავში საპროტესტო აქციის ორგანიზატორებს: მოძრაობა „არას“ ლიდერ ლევან ჩიტაძეს და სახალხო კრების აქტივისტებს იმ დროს, როდესაც საჭირო არ იყო ძალის გამოყენება. როცა ხელისუფლება ასეთ პროვოკაციებზე მიდის, ეს ნიშნავს, რომ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის ეშინია. სააკაშვილს აქვს საფრთხის საფუძველი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამოეწურა საგარეო მხარდაჭერის ლიმიტი. მან იცის, რომ ქვეყნის შიგნით მოსახლეობა მხარს არ უჭერს. ეს ფეთქებადსაშიში სიტუაცია მას შიშის ქვეშ ამყოფებს. მაგრამ, მოდი, შევხედოთ იმას, რაც ხდება ოპოზიციის შიგნით: შეგნებულად ვიკავებ თავს ბოლო პერიოდში, რომ არ ვიყო კრიტიკული და არ გავაკეთო მკვეთრი შეფასებები ცალკეული ოპოზიციური პარტიების ქმედებების მიმართ. თავს ვიკავებ ლიდერების განცხადებებისა და გამონათქვამების შეფასებებისგან, განსაკუთრებით იმ ნაწილის მიმართ, რომელიც 21 მაისისთვის ემზადება.

***— რატომ იკავებთ თავს?***

— ერთი რამის გამო: არ მინდა, ხელისუფლებისთვის რაიმე ფორმით, თუნდაც ირიბად საამო იყოს ასეთი ტიპის მწვავე შეფასებები. არ მინდა, ხელი შევუწყო საზოგადოების ნიჰილიზმს. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროტესტი არ მაქვს იმის მიმართ, რაც ხდება. მივმართავ ყველა დაპირისპირებულ ფლანგს: შეჩერდით და შეწყვიტეთ ეს შიდა ომი. ეს ბრძოლაა პირველობისთვის — ვინ დაიკავებს ქუჩაში ცენტრალურ ადგილს, ვინ იქნება ხალხის რჩეული. ეს ბრძოლა დაემსგავსა სრულიად არანორმალურ ვითარებას, სადაც ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ერთმანეთს ერთობისკენ უნდა მოუწოდებდნენ, იწყებენ შიგნით რესურსების ფანტვას ერთმანეთის ჩასაძირად. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, რომელიც იქნა დაშვებული იმ პოლიტიკური ძალებისგან, ვინც გახსნა ცეცხლი ერთმანეთის მიმართ. მარადიული გამოთქმაა: ჟამი თქმისა და ჟამი უთქმელობისა. თუ ის არ იცი, როდის უნდა თქვა, როდის პაუზა უნდა გააკეთო და როდის უნდა იმოქმედო, ვფიქრობ, ეს პოლიტიკური სიბეცეა, სხვა თუ არაფერი. როგორც ჩანს, პირველობისკენ ამ მანიაკალურმა სწრაფვამ ისე დაუბნელა ზოგიერთს გონება, რომ რაციონალური აზროვნების უნარი წაართვა და ახლა ვხედავთ ზედიზედ სხვადასხვა ტიპის დუელებს. დღეს ძნელია, ქართულ ოპოზიციაში ისეთი ბანაკი მოძებნო, რომელიც მეორესთან დაპირისპირებული არ იყოს, გარდა იმ საარჩევნო რვიანისა. როდესაც ქვეყანაში რევოლუციას აცხადებ, არ ვიცი, ამ დროს როგორ შეიძლება იყო კონფრონტაციულ რეჟიმში ხელისუფლებაზე მეტად ოპოზიციურ პარტიებთან. არ ვიცი, ეს რამდენად შეიძლება იყოს წარმატების ფორმულა. მე ერთადერთი იმედი მაქვს და სწორებას ვაკეთებ არა პერსონალიებზე, არამედ ყველაზე მთავარ ფაქტორზე — ქართველ ხალხზე.

***— დაგეგმილ აქციებზე ხალხის გვერდით იქნებით?***

— მე ქართველ ხალხს შევფიცე, რომ ვიქნები მისი ინტერესების, უფლებების დამცველი. ამიტომ 21 მაისსაც ქართველი ხალხის გვერდით ვიდგები. ვიდგები იმ ხალხთან ერთად, რომელიც აგრძელებს სამართლიანობისთვის ბრძოლას. მაგრამ ამ ორბიტაზე ვერ ვხედავ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, რომელიც აქტიურ პროცესებს იწყებს, რომელიც პერსონალურად მხარდაჭერასა და ნდობას იმსახურებს. კარგი იქნება, თუ ისინი შეძლებენ საზოგადოების კრიტიკული ნაწილის მობილიზებას. თუმცა, ვიმეორებ: რამდენიმე დღით ადრე ასეთი ჯვარედინი ბრძოლების გამართვა ოპოზიციის შიგნით საზოგადოებას ძალიან აბნევს.

***— ეს ბრძოლა ქართული პარტიასა და ბურჯანაძეს შორის რუსეთის მხარდაჭერისთვის მიმდინარეობს? მათ ნაბიჯებში რუსული ინტერესი იკვეთება?***

— ვფიქრობ, ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს. იმდენად კარგად ჩანს, რომ კითხვებიც ნაკლებად ჩნდება. კარგად ჩანს, ვინც რუსეთის ფაქტორს დაეყრდნო და ისიც, ვინც დასავლეთისკენ იყურება. ჩემთვის გაუგებარია, ერთ ორბიტაზე მყოფი პოლიტიკური სუბიექტები — ქართული პარტია და ნინო ბურჯანაძე დღემდე თავს რომ ესხმიან ერთმანეთს. ეს ჩემთვის მართლა გაუგებარს ხდის პროცესების შემდგომი განვითარების სცენარს. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ რევოლუციური ორი პროცესი ქუჩაში და თან დროში თანხვედრილი; რა გააკეთოს იმ ხალხმა, რომელიც ფიქრობს, რომ ქუჩაში უნდა გამოვიდეს იმ უფლებებისთვის საბრძოლველად, რომელიც მან 3-4 წლის წინ დაიწყო. ამიტომ ამ ხალხზე უნდა ვიფიქროთ. მე კიდევ ერთხელ მივმართავდი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე აქტიურია: არც ერთ შემთხვევაში იმედი არ დაკარგონ. თუმცა, ვერავის სასარგებლოდ ვერ მოვუწოდებდი პერსონალურ მხარდაჭერას.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ, მართალი გითხრათ, საზოგადოება კი არა, მეც დავიბენი უკვე, ისეთი რაღაცები ხდება.

***— სწორი მიდგომაა ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვა „ქართული პარტიის“ მხრიდან?***

— ვფიქრობ, არა. თუ „ქართული პარტია“ რევოლუციისთვის ემზადება და აცხადებს, რომ 21 მაისს ის არ მისცემს სახალხო კრებას აქციის დაშლის უფლებას და ისიც აიღებს პასუხისმგებლობას, რაც იყო ოქრუაშვილის მხრიდან ძალიან ნიშანდობლივი განცხადება, ამით მან უფრო დიდი მასშტაბი შესძინა მოლოდინს, რომელიც 21 მაისის მიმართ არსებობს. მინდა ვთქვა, რომ ამ განცხადებამ — ერთგვარი პასუხისმგებლობის გადანაწილებამ 21 მაისთან დაკავშირებით 21 მაისის მოლოდინს პოზიტიური რესურსი შესძინა. მაგრამ, იმავდროულად, იყო ისეთივე ძალიან დამაბნეველი, როგორიც პირდაპირი დარტყმები საელჩოსთან აქციის გამართვის არგუმენტების დროს. რევოლუციურ პროცესებს სჭირდება გარე ფაქტორის მხარდაჭერაც. მთავარი ფაქტორია ქართველი ხალხი, რომელმაც პროქართული პროექტი უნდა განახორციელოს, ანუ ქართველმა ხალხმა თავად უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი. თუ ჩვენ იზოლაციაში აღმოვჩნდებით და ამ პროცესს მხარდაჭერა არ ექნება და ვილაცამ ჩათვალა ისევ, რომ ჯობია სააკაშვილს დაუჭიროს მხარი, ვიდრე გაურკვეველ პროცესებს, ეს არის ძალიან დიდი საფრთხე, რომ ამან სააკაშვილის რეჟიმი დროებით არ გადაარჩინოს და სხვა სივრცე არ გახსნას იმ პარტიებისთვის, რომლებიც ძალიან ოსტატურად თამაშობენ. მე ამ საფრთხეს ვხედავ. ვხედავ იმ საფრთხეს, რომ შეიძლება მაისის პოლიტიკურმა პროცესებმა საბოლოოდ გაწმინდოს ქართული პოლიტიკური ველი, გაასუფთავოს და დატოვოს მხოლოდ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც იქნება მისაღები გარე ძალებისთვის. ამიტომ ვფიქრობ, ძალიან სახიფათო იყო ასეთი განცხადებების გაკეთება ამერიკის საელჩოს მიმართ. დღეს ობამას ადმინისტრაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სააკაშვილის რეჟიმის მხარდამჭერი. ეს პროტესტი ეხებოდა ბუშის ადმინისტრაციას, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ რეჟიმის ჩამოყალიბებას. როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი დებს ასეთ უმწვავეს დასკვნას, როდესაც ამერიკის ელჩმა გააკეთა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება ქართველი ხალხის მხარდასაჭერად, ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რატომ უნდა დაადანაშაულო ის სააკაშვილის მხარდაჭერაში. როცა ხედავს დონალდ ტრამპთან მოპოზიორე სააკაშვილს, რომელიც უკვე გათვლას აკეთებს 2012 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნეზე, იქნებ ტრამპი იყოს სააკაშვილის ფავორიტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არანაირი მოლოდინი ობამას ადმინისტრაციის მხარდაჭერაზე აღარ აქვს. ასეთ ვითარებაში იყო სრულიად ალოგიკური და არარაციონალური ნაბიჯი. როგორც არ უნდა შეეფუთო პატრიოტული მოტივებით, არა მგონია, ამართლებდეს მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში ამ გადაწყვეტილებას. ამიტომ, ვფიქრობ, ეს იყო მცდარი, ისევე, როგორც ლიდერების მხრიდან ურთიერთთავდასხმები.

***— რას იტყვით ოქრუაშვილის განცხადებაზე, ვისაც გინდათ, გაემიჯნეთ ხელისუფლებას და ხალხის გვერდით დადექით, ვისაც გინდათ, ამ ხელისუფლებას ჩაჰყვეთ, პირობას გაძლევთ, შეგისრულებთო?***

— ვფიქრობ, ეს მუქარა უკუშედეგის მომტანი უფრო იყო. მაგრამ ასეთი ტიპის არჩევნის წინაშე საზოგადოება დიდი ხანია დგას. ეს არის მორალური არჩევანი, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს უდგას. უბრალოდ, ახლა არის კიდევ ერთხელ მცდელობა, რომ ასეთი ტიპის არჩევანი გაკეთდეს. ასეთი ტიპის არჩევანი დადგება, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი რეალურ საფრთხეს იგრძნობს, რომ ის მთავრდება.

***— ახლა ვერ გრძნობს სააკაშვილი, რომ მისი რეჟიმი მთავრდება?***

— ამ წუთას ვერ გრძნობს. როგორ უნდა იგრძნოს, როდესაც ოპოზიციის ნებისმიერი ტიპის თავდასხმა ერთგვარად ამცირებს ქუჩაში გამომსვლელთა რაოდენობას. ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს რადიკალურ პარტიებში და ერთი და იგივე ხალხი დადის როგორც „ქართული პარტიის“, ისე სახალხო კრების აქციებზე. მე ეს სახეები მინახავს. ეს არის კრიტიკულად განწყობილი ელექტორატი, რომელიც გარეთ გამოდის. შენ მის დაყოფას კი არ უნდა ეცადო, პირიქით, უნდა გააერთიანო. მას უნდა შეუერთო ნიჰილისტურად და ნეგატიურად განწყობილი ადამიანები. თუ იმ საპროტესტო საზოგადოებასაც გაყოფ და დაანაწილებ, რა გამოვა? ან იგივე გარე ფაქტორი ავიღოთ: ვინ დადებს ფსონს იმ პოლიტიკურ ძალაზე, რომელსაც არა აქვს გამაერთიანებლის ფუნქცია და აქვს დამშლელის ფუნქცია.

***— აბა, რაზე აკეთებს ბურჯანაძე გათვლას, როცა ამბობს, რომ სააკაშვილის რეჟიმს ძალიან მალე დაამთავრებს?***

— მე არ ვიცი, ბურჯანაძის განცხადებების საფუძველი რა არის, ისევე, როგორც არ ვიცი მისი გეგმების შესახებ. მხოლოდ ზოგადი განცხადებები ისმის. ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბევრი ადამიანი თანამონაწილედ გაიხადო. ხაზგასმით მინდა ვთქვა: მე სახალხო კრების იდეის მხარდამჭერი ვიყავი და დღესაც ვრჩები ამ იდეის მხარდამჭერი, იმ გადაწყვეტილებების მხარდამჭერი, რომლებიც კრებამ 25 ნოემბერს მიიღო. ახლა არ დამიწყია ბრძოლა იმ უფლებებისთვის, რომელზეც სახალხო კრება ლაპარაკობს. ამიტომ ამ იდეას მხარს დავუჭერ. მაგრამ, როცა მეკითხებიან, სად იდგებით? — ვიდგები იქ, სადაც დგას ჩემი ხალხი. რა დააშავა საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ქუჩაში გამოდის და დაუცველია!

## ქართველმა მოსამართლეებმა 15 მაისს პროფესიული დღე აღნიშნეს

15 მაისს საქართველოს ყველა რეგიონის მოსამართლე პროფესიული დღის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრში შეიკრიბა.



საღამოს 7 საათზე მოსამართლეთა ასოციაციის ეგიდით, მოსამართლეებისთვის გაიმართა მიღება, რომელსაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოსამართლეებს პროფესიული დღე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა, მოსამართლეთა ასოციაციის სახელით, ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა მეიშვილმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ მიულოცეს.

მოსამართლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იყო ფოტოგრაფთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ფოტოპროექტი სახელწოდებით „ერთი დღე სასამართლოს ცხოვრებიდან“.

ფოტონამუშევრების მთავარი იდეაა, საზოგადოებას მოსამართლე წარვუდგინოთ არა მხოლოდ სასამართლო დარბაზში საქმის განხილვისას, არამედ როგორია ის სასამართლო დარბაზს მიღმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მოსამართლეები დაესწრნენ სპექტაკლს.

# აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას არავინ აღიარებს

თეა მარხვაი ე

**აფხაზმა სასულიერო პირებმა დანაპირები შეასრულეს და დიდი საეკლესიო კრება ჩაატარეს. კრების ჩატარების მიზეზი რუსული მღვდელი ეფრემ ვინოგრადოვი გახდა, რომელიც აფხაზეთში, კერძოდ კი ახალი ათონის სვიმონ კანანელის მონასტერში რუსეთის პატრიარქმა მიავლინა.**



როგორც გაირკვა, ვინოგრადოვის მივლინება აფხაზეთის ეკლესიის წინამძღოლმა ბესარიონ აპლიამ მოითხოვა. ახალ ათონში ეფრემ ვინოგრადოვი მარტის ბოლოს ჩავიდა. თავიდან მის დანიშვნას ახალ ათონში მოღვაწე სასულიერო პირები დადებითად შეხვდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ისინი აბუნტდნენ. „ბუნტოვშიკ“ მღვდლებს სათავეში ანდრე ამპარი და დოროთეი დბარი ჩაუდგნენ, რომლებიც ბესარიონ აპლიასთან უკვე ათ წელზე მეტია რაც დაპირისპირებული არიან.

მათ მონასტრის ტერიტორიაზე საპროტესტო მიტინგიც კი მოაწყვეს. ამ ღონისძიებას 400-მდე ადამიანი ესწრებოდა. მათ გააპროტესტეს ეფრემ ვინოგრადოვის ტაძრის წინამძღოლად დანიშვნის ფაქტი.

იმავე დღეს დააანონსეს, რომ 15 მაისს მონასტრის ტერიტორიაზე დიდი სახალხო-საეკლესიო შეკრება გაიმართებოდა. ამ კრებამდე კარგა ხნით ადრე, ახალი ათონის მონასტრის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. მათ ტაძრის წინამძღოლად მამა ანდრეი ამპარი აირჩიეს.

ბესარიონ აპლია კარგა ხნის განმავლობაში კომენტარებს არ აკეთებდა. დუმილის მიზეზად მან მძიმე მარხვა დაასახელა და პირობა დადო, რომ აღდგომის შემდეგ აუცილებლად გააკეთებდა კომენტარს.

ნააღდგომევს მან დანაპირები შეასრულა და პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ აფხაზურ ეკლესიაში არანაირი დაპირისპირება არ არის. მასთან დაპირისპირებულ სასულიერო პირებს კი გზააბნეულები უწოდა. აპლიამ მათ მიმართ გულმოწყალებაც გამოიჩინა და თქვა, თუ მოინანიებენ, მივუტევებთო.

ანდრეი ამპარი და დოროთეი დბარი კი მონანიებას არ აპირებენ. მათ დანაპირები შეასრულეს და დიდი საეკლესიო შეკრება გამართეს.

როგორც აფხაზური საინფორმაციო საშუალებებიდან ხდება ცნობილი, ამ თავყრილობას 2 ათასამდე ადამიანი დაესწრო. კრებას უძღვებოდა არქიმანდრიტი დოროთეი დბარი.

ორგანიზატორებმა კრებაზე გამოიტანეს რამდენიმე საკითხი. ზოგი მათგანი იქნა დაყენებული ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრით იქნა მიღებული შემდეგი საკითხები:

1. საეკლესიო სახალხო კრებას მიენიჭა აფხაზური ეკლესიის მმართველის ორგანოს სტატუსი სრულყოფილი აფხაზური მართლმადიდებლური ეკლესიის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამდე.

2. შეიქმნა აფხაზეთის მიტროპოლია კათედრით ახალ ათონში.

3. შეიქმნა აფხაზეთის მიტროპოლიის მმართველი საბჭო, რომელიც 12 ადამიანისგან შემდგარ ორგანოს წარმოადგენს. მათ შორის 6 სამღვდელოების წარმომადგენელია და 6 საერო.

4. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მსოფლიო ეკლესიებისადმი მიმართვის თაობაზე, რათა შეიქმნას მართლმადიდებლური კომისია მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, რათა განხილულ იქნეს აფხაზური ეკლესიის მიმდინარე სტატუსი და შემდეგ მისი სტატუსი, როგორც დამოუკიდებელი აფხაზური მართლმადიდებლური ეკლესიისა.

ფარული კენჭისყრით იქნენ არჩეულნი მიტროპოლიის საბჭოს წევრები. საეკლესიო მსახურთა მხრიდან ამ საბჭოში შევიდა ოთხი წარმომადგენელი — არქიმანდრიტი დოროთეი დბარი, მღვდელმონაზონი ანდრია (ამპარი), ბერდიაკვანი დავითი (სარსანია) და ბერი თეოფანე (კრუტიკოვი). ორ ადგილი ვაკანტურად იქნა დატოვებული იმის იმედით, რომ მათდამი დაპირისპირებული მეორე საეკლესიო ჯგუფი ბესარიონის (აპლია) ხელმძღვანელობით ოდესმე „გონს მოეგება“ და მიიღეს მონაწილეობას მათ საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ ხმის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მონათლულ საერო პირებს, რისთვისაც მათ წინასწარ ჰქონდათ დარიგებული სპეციალური ბარათები შესაბამისი აღნიშვნებით.

ფარული კენჭისყრით იქნა არჩეული საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც იმავდროულად დასახელდა ეპისკოპოსობის კანდიდატად ამ ახალი ეკლესიური ორგანიზაციიდან. თავმჯდომარე გახდა არქიმანდრიტი დოროთეი დბარი.

ახალ ათონში გამართული კრება აფხაზეთის ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს არც არის გასაკვირი. ბესარიონ აპლია ხომ მათთან დაახლოებული პირია.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა აფხაზეთის პრემიერი სერგეი შამბა, რომელმაც ახალ ათონში გამართულ შეკრებას უკანონო და პიროვნულ ამბიციებზე დაფუძნებული უწოდა.

მისი თქმით, კრების მონაწილეებს აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება გაუჭირდებათ, ხოლო რუსეთის საპატრიარქოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში პირდაპირ აცხადებენ, რომ ეს პროცესი ნეგატიურად აისახება აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობებზე.

აპლიასთან დაპირისპირებული სასულიერო პირები დარწმუნებული არიან, რომ ადრე თუ გვიან აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება მოხდება. იმ შეკრებაზე ბევრი განცხადება გაკეთდა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო მერვე საუკუნიდან არსებობდა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობა, ისტორიკოს ზაზა აბაშიძის თქმით, იმაზე მიუთითებს, რომ ის ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო. აფხაზეთის საკათალიკოსო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა.

ქართველი ისტორიკოსი დარწმუნებით აცხადებს, რომ აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას არავინ აღიარებს. თუ რატომ, ამის შესახებ **ზაზა აბაშიძე** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— აფხაზები მიიჩნევენ, რომ ადრე თუ გვიან მათი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება მოხდება. თქვენი აზრით, ასეთი რამე შეიძლება მოხდეს?***

— ეს გამორიცხულია. მათ ეკლესიას დამოუკიდებლობას არავინ მიანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო საუკუნეების განმავლობაში იყო დამოუკიდებელი. მართალია, ის დამოუკიდებელი იყო, მაგრამ მცხეთის ანუ საქართველოს პატრიარქის დაქვემდებარებაში გახლდათ. ეს იყო ავტონომიური ეკლესია. მე მინდა აფხაზებს გავახსენო, ვინ იყვნენ მათი კათალიკოსები. მათი კათალიკოსები პირველიდან დაწყებული, ბოლომდე იყვნენ ქართველები. ბოლო კათალიკოსი იყო ჩემი მოგვარე აბაშიძე. არც ერთი მათი კათალიკოსი არ ყოფილა არაქართველი. გვარებსაც ჩამოვთვლი: ღოლობერიძე, მაჭუტაძე, ერისთავი, ქვარიანი, აბაშიძე და ასე შემდეგ. ასე რომ, არავის არა აქვს უფლება, საქართველოს ეკლესიის ნაწილს მიანიჭოს ავტოკეფალია. ამის უფლება ერთადერთი დედაეკლესიას აქვს. ეს დედაეკლესია არის საქართველოს საპატრიარქო. ჩვენს ეკლესიაში კი ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას და არც არასდროს დადგება. იცოდეს ყველამ, რომ ჩვენი ეკლესიის მცირე ნაწილს ავტოკეფალია არასდროს არ მიეცემა.

***— ჩვენ არა, მაგრამ სხვამ ხომ შეიძლება მიანიჭოს? ითქვა, რომ ამის უფლება საქართველოს გარდა კონსტანტინეპოლსაც აქვს.***

— ამის გაკეთების უფლება მხოლოდ დედაეკლესიას და კონსტანტინეპოლს აქვს. დანარჩენ არც ერთ სხვა ეკლესიას არა აქვს ამის უფლება. ეს არის მართლმადიდებლური ეკლესიის წესი და კანონი.

***— კონსტანტინეპოლის მხრიდან აფხაზური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება გამორიცხულია?***

— აბსოლუტურად გამორიცხულია. აფხაზებს სხვადასხვა არგუმენტები მოჰყავთ თავის სასარგებლოდ. ეს არანაირ შედეგს არ გამოიღებს. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მათ ეკლესიას არათუ ავტოკეფალია, ავტონომიაც კი არ მიეცემა.

***— აფხაზური ეკლესია დღეს ორ ბანაკად არის გაყოფილი. ახალგაზრდა მღვდლები ღვთისმსახურებას ბიზანტიური წესის მიხედვით ასრულებენ. ეკლესიებსაც ბიზანტიურად რთავენ. ისინი ამტკიცებენ, რომ აფხაზეთის ეკლესია ყოველთვის ბიზანტიის ეკლესიას ექვემდებარებოდა.***

— თქმით ბევრი რამის თქმა შეიძლება. თუ ასე იყო, მოიტანონ მაშინ ამის დამამტკიცებელი საბუთი. ჩვენ ამ დოკუმენტებს სიამოვნებით გავეცნობით. ჩვენ ერთი რამ ვიცით, რომ მერვე საუკუნიდან არსებობდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, იყო ქართული საკათალიკოსო. ქართული ლიტურგიული ენით, ქართული ეპარქიებით, ქართველი ეპისკოპოსებით, რა კონსტანტინეპოლზეა ლაპარაკი?! მოიტანონ დოკუმენტები და აგვიხსნან, რის საფუძველზე აკეთებენ ასეთ განცხადებებს. დოკუმენტებს ვერ მოიტანენ, რადგან მსგავსი ბუნებაში არაფერი ყოფილა. ეს არის ისტორიული სინამდვილის გაყალბება. ეს ახალი ამბავი არ არის. ამას უკვე საუკუნეებია ცდილობენ. აქამდე არაფერი არ გამოუვიდათ და არც ახლა გამოუვათ რამე. მე არასდროს არ ვყოფილვარ ნაციონალისტი და არც არასდროს ვიქნები. რასაცახლა მე ვამბობ, ეს არის კანონიკურად სიმართლე. კიდევ გავიმეორებ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო იყო ქართული და დღეს ის ითვლება, როგორც ქართული ეპარქია.

***— რა პოზიციას დაიკავებს რუსული ეკლესია? აფხაზებს რუსების დიდი იმედი აქვთ.***

— რუსების იმედი სულ ტყუილად აქვთ. რუსულ ეკლესიას აფხაზეთის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების არავითარი უფლება არა აქვს. რუსეთმა ამ მიმართულებით თავისი საქმე გააკეთა. მან თავის დროზე ავტოკეფალია გააუქმა ქართლ-კახეთის ეპარქიას, ასევე გააუქმა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ეს ავტოკეფალია ჩვენმა ეკლესიამ აღადგინა. რუსეთს აფხაზეთის ეპარქიასთან დაკავშირებით ვერანაირი პრეტენზიები ვერ ექნება. შეიძლება ძალიანაც უნდათ, მაგრამ ამის უფლება მხოლოდ საქართველოს და კონსტანტინეპოლს აქვს. გაითვალისწინეთ, საეკლესიო ისტორიაში უმნიშვნელოვანესია კანონიკური სამართალი, რომელიც განსაზღვრავს ეკლესიის ყოფას და მის იურიდიულ მდგომარეობას. არასოდეს არ ყოფილა, რომ აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიისგან განცალკევებული ყოფილიყოს, ამიტომ ის ცალკე ეკლესია ვერც ვერასდროს იქნება. ჩვენ გვაქვს ასეთი უამრავი მაგალითი. მაკედონიის ეკლესიას დღემდე არავინ არ აღიარებს. უკრაინის ეკლესია არსებობს, მასაც არავინ არ აღიარებს. ასეთივე მდგომარეობაში არის ბელორუსიის ეკლესია.

***— მათ რატომ არ აღიარებენ?***

— იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ამის კანონიკური უფლება.

***— საეკლესიო კრებაზე აფხაზებმა უამრავი არგუმენტი დაასახელეს, თუ რატომ უნდა იყოს მათი ეკლესია დამოუკიდებელი. თქვეს, ამ მიწაზე დადიოდა სვიმონ კანანელი, ანდრია პირველწოდებული და თუნდაც ამიტომ ვიმსახურებთ ავტოკეფალიასო...***

— დიახ, აქ დადიოდა ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. ეს იყო საქართველოს მიწაწყალი. ეს მიწა იყო საქართველოს ისტორიული ნაწილი და არა რაღაცა აფსუების აფხაზეთი. დიახ, საქართველოს ეს კუთხეც მოიარეს სვიმონ კანანელმა და ანდრია პირველწოდებულმა. ამიტომაც ვართ ჩვენ მოციქულთა მიერ მოქცეული ქვეყანა. აფხაზეთი და კახეთი არაფრით არ გაირჩეოდა ერთმანეთისგან. ეს იყო ერთიანი ქვეყანა და ერთიანი მიწა.

***— ჩვენი საპატრიარქო როგორ უნდა მოიქცეს ამ სიტუაციაში?***

— მე არ ვიცი, მიმართავენ თუ არა მას აფხაზები. წესით და კანონით, ავტოკეფალიის მოთხოვნით მათ უნდა მიმართონ დედაეკლესიის მეთაურს, ჩვენს პატრიარქს. ეს საკითხი პატრიარქმა უნდა გადაწყვიტოს. ის მათ ავტოკეფალიას არ მიანიჭებს. ეს იგივე იქნება, კახეთმა, გურიამ ანდა მესხეთმა რომ მოითხოვოს ეკლესიის ავტოკეფალია. აფხაზეთი კი ისეთივე კუთხეა საქართველოსი, როგორც სვანეთი, კახეთი ან სამეგრელო. აფხაზების გაკეთებული განცხადებები ავტოკეფალიაზე, ეს არის ეკლესიის კანონიკის უცოდინარობის უმაღლესი დონის გამოვლინება. საქართველოს ეკლესიას არავითარი რეაქცია არ უნდა ჰქონდეს ამაზე. უნდა იყოს მდუმარება.

***— შეიძლება აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება არ მოხდეს, მაგრამ ხომ შეიძლება სხვა ეკლესიებმა მათთან კავშირი დაამყარონ?***

— 15 მართლმადიდებელი ეკლესიიდან მათთან კავშირს არავინ დაამყარებს.

***— თუმცა მისიონერები აფხაზეთში ჩადიან და ძალიან ხშირადაც.***

— მისიონერები ყოველთვის დადიოდნენ და მომავალშიც ასე იქნება. მათი მხრიდან აფხაზების შეგულიანებასაც ექნება ადგილი. ეტყვიან, აბა, ეს ქენით და ის ქენითო. რაც არ უნდა ქნან, არაფერი გამოუვათ. მათი აღიარება გამორიცხულია. იმხელა უკრაინისა და ბელორუსის ეკლესია არავინ აღიარა და აფხაზებს ვინ აღიარებს. ან რატომ უნდა აღიარონ, თორემ, კი! როცა აფხაზეთის საკათალიკოსოზე საუბრობენ, ჰგონიათ, რომ იქ მარტო აფხაზეთი შედიოდა. ამ საკათალიკოსოში შედიოდა მთელი დასავლეთ საქართველო. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო იყო სრულიად საქართველოსი. თავის დროზე ბიჭვინთიდან გელათში საკათალიკოსო იმიტომ გადმოიტანეს, რომ იქ თურქები შევიდნენ და მათ აფსუები შემოჰყვნენ.

## „თურქეთში ექვსმა ქართველმა 73 წლის ფერმერი მოკლა“

თურქეთში ექვსმა ქართველმა 73 წლის ფერმერი ვისტომ აკალუნდუზი წამებით მოკლა. თავდასხმა ღამით მოხდა, — იუწყება ტელეკომპანია „იმედი“ თურქულ მედიაზე დაყრდნობით.

თურქი სამართალდამცავების ინფორმაციით, ბრალდებულები ვისტომ აკალუნდუზის კუთვნილ ჩაის პლანტაციებს ამუშავებდნენ.

თავდასხმის დროს სახლში ვისტომ აკალუნდუზის მეუღლე ელიზ აკალუნდუზიც იმყოფებოდა, რომელიც სხეულის დაჟეჟილობებითა და მრავლობითი მოტეხილობებით ტრაბზონის ცენტრალურ კლინიკაში გადაიყვანეს.

გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობის მიზეზი ყაჩაღობა გახდა. ეჭვმიტანილები ვისტომ აკალუნდუზის კუთვნილ მამულებს ამუშავებდნენ და კარგად იცოდნენ მისი ფინანსური შესაძლებლობები.

ეჭვმიტანილებმა მობილური ტელეფონებისა და ოქროს სამკაულების წაღება შეძლეს.

ამ დროისათვის თურქმა სამართალდამცავებმა ოთხი ეჭვმიტანილის დაკავება შეძლეს, ორს კი ამ დრომდე ეძებენ. ამოღებულია მოპარული ნივთების ნაწილიც.

ერთ-ერთი ვერსიით, ორმა ეჭვმიტანილმა საზღვრის გადაკვეთა შეძლო და ისინი უკვე საქართველოში იმყოფებიან.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მედიით გავრცელებულ ინფორმაციის შესახებ მათ თურქეთიდან შეტყობინება არ მიუღიათ.

**მედიანიუსი**

## ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა დამარცხებით სრულდება

— ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციამ ბუშის ადმინისტრაციისდროინდელი მხარ-



დაჭერის ინერციით სააკაშვილისათვის გადმოცემა უნდა შეწყვიტოს, — განაცხადა აშშ-ს საელჩოსთან გუშინ გამართულ აქციაზე „ქართული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა.

—გაახილე თვალი, ამერიკა, შეხედე რეალობას, დაუჭირე მხარი არა რეჟიმს, არამედ ქართველ ხალხს, — განაცხადა პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა და დასძინა, რომ დღევანდელი აქცია აშშ-ს საელჩოსთან ტარდება არა იმიტომ, რასაც ბოლო დღეებში ისტერიულად საუბრობენ ტელეარხების საშუალებით პოლიტიკოსები და ექსპერტები, არამედ იმიტომ, რომ „ქართულმა პარტიამ“ უთხრას ამერიკას, რომ საქართველოში რეჟიმის მხარდაჭერა ქართველი ხალხის მხარდაჭერას არ ნიშნავს,“- აღნიშნა კიწმარიშვილი.

მისი თქმით, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საფრთხეს უქმნის კავკასიის უსაფრთხოებას და მეტიც, დღეს ქართველი ერი გაცილებით ცუდ დღეშია, ვიდრე ეს ვარდების რევოლუციამდე იყო.

— 2005 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ ბუშმა სააკაშვილის ხელისუფლებას დემოკრატიის შუქურა უწოდა. მაგრამ დღეს ყველე ხედავს და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არათუ დემოკრატიის შუქურა, არამედ, რეჟიმია, რომელიც მმართველობას მალე უნდა ჩამოსცილდეს. მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ხელისუფლებას, რომ ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლა დამარცხებით სრულდება, — აღნიშნა ეროსი კიწმარიშვილმა და დასძინა, რომ აუცილებელია შესრულდეს ქართულ-ამერიკული ქარტიით გათვალისწინებული ყველა პუნქტი, მათ შორის, ქვეყანაში უნდა იყოს თავისუფალი მედია და სასამართლო.

**მედიანიუსი**

# ოქრუაშვილი ბურჯანაძის წინააღმდეგ სააკაშვილის მითითებით მოქმედებს

## ხელისუფლება კიდევ ბევრ პროვოკაციაზე წავა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, ოპოზიციაში დაპირისპირებამ, შეიძლება ითქვას, რომ პიკს მიაღწია. საზოგადოებაში ჩნდება განცდა, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება. როგორია თქვენი შეფასებები?***

— ეს პროცესები ხელისუფლებიდან არის მართული და ამჯერად, პირველ რიგში, ეს უნდა ვთქვათ ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ ოქრუაშვილის რამდენიმე დღის წინანდელი აგრესიული განცხადება როგორც სახალხო კრების მიმართ, ასევე ამას მოყოლებული ანტიამერიკული განცხადება, სპეციალურად იყო შემოგდებული, რათა ნინო ბურჯანაძე ამ განცხადებას აყოლოდა. სამწუხაროდ, ბურჯანაძე წამოაგეს პროვოკაციაზე და ბურჯანაძემ დაუყოვნებლივ გააკეთა შემხვედრი განცხადება ოქრუაშვილის წინააღმდეგ, რისი გაკეთებაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. მე ვფიქრობ, ოქრუაშვილის საშუალებით სააკაშვილმა რამდენიმე კურდღელი დაიჭირა ერთად, თუმცა საბოლოოდ რას დაიჭერს ხელში, ეს სხვა საქმეა.

***— რას გულისხმობთ?***

— პირველ რიგში, მან ახალი სისხლი გადაუსხა მიძინებულ რესპუბლიკელებს და იმ ვაი-პარტიებს, რეალურად სატელიტურ პარტიებს, რომლებსაც ახლა თავის გამამართლებელი საშუალება აღმოაჩნდათ ოქრუაშვილის წყალობით, რომ არ გამოდიან ქუჩაში და რატომ არ უნდათ ქუჩის აქციები. მეორე მხრივ, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ნინო ბურჯანაძე და რეალურად სააკაშვილმა შექმნა იმის წინაპირობა, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღოს კონფლიქტი, ან 7 ნოემბრისნაირი ან 7 ნოემბერზე უარესიც კი. კონფლიქტი, რომელ კონფლიქტშიც ის გაიმარჯვებს და ამის შემდეგ დანიშნავს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გარეშე სააკაშვილის პრემიერმინისტრობა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. აი ამ ყველაფერში, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბურჯანაძე. იმის მიუხედავად, მე მომწონს თუ არა ბურჯანაძე, ან სხვებს რა დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ, ამ შემთხვევაში, ბუნებრივი პირობების გამო, მთელ ამ პოლიტიკურ სპექტრში ყველაზე მისაღებ მდგომარეობაში ჩაყენებული იყო სწორედ ბურჯანაძე. აქ არ არის საუბარი იმაზე, ვის მოგვწონს ბურჯანაძე და ვის არა, მთავარია ის, რომ ბურჯანაძისგან რეალურად მოსალოდნელი იყო ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ნამდვილად გამოიწვევდა ხელისუფლების წასვლას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან სერიოზულ შერყევას.

***— ამას აღარ უნდა ველოდოთ?***

— ბურჯანაძეს რამდენიმე უმძიმესი შეცდომა აქვს დაშვებული და ყველა ეს შეცდომა დაშვებულია მისი უახლოესი ადამიანების, როგორც ოჯახური თვალსაზრისით, ასევე თანამოაზრეების საშუალებით. არ მინდა მის პირად ურთიერთობებში ჩავერიო, მაგრამ მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ მას ძალიან ცუდი, ან სააკაშვილთან გარიგებული მრჩევლები ჰყავს, იქნება ეს ოჯახის წევრები თუ უბრალოდ მისი ე.წ. თანამოაზრეები. იმიტომ, რომ თვითონ ბურჯანაძის ინტერესი იმაში, რაც ხდება, ნამდვილად არ ჩანს, განსხვავებით სხვებისგან. რას უნდა ველოდოთ ბურჯანაძისგან, ახლა რთული სათქმელია. ოქრუაშვილის საშუალებით მას დაუგეს მახე, სამწუხაროდ, ერთი ფეხი ბურჯანაძემ ამ მახეში უკვე ჩაყო იმით, რომ ის სხვა პარტიებთან ერთად დაუპირისპირდა ოქრუაშვილს და რეალურად მან ამ დაპირისპირებით არაფერი არ მიიღო, გარდა იმისა, რომ გააპრავა დაპირისპირება ორ ოპოზიციურ ძალას შორის. მე ვფიქრობ, რომ ძალიან არაორდინარული გადაწყვეტილებაა ბურჯანაძისგან საჭირო. რამდენიმე შეიძლება იყოს ასეთი გადაწყვეტილება. ერთი გადაწყვეტილება, რომელზეც მე ვსაუბრობ, მისგან ალბათ ძნელი მისაღები იქნება...

***— იქნებ დააკონკრეტოთ, რაზეა საუბარი?***

— როგორც არჩევნების ბოიკოტირება ხდება, მან ისეთივე ბოიკოტი უნდა გადაიტანოს ქუჩაში. ანუ თამაში დაუწყოს ოქრუაშვილს და არა დარტყმა, რაც მან გააკეთა და იყო შეცდომა, არამედ თამაში. გამოვიდეს, თქვას, რომ ის უარს ამბობს მისი ინიციატივით დანიშნულ 21 მაისის აქციაზე და ინიციატივას უთმობს ოქრუაშვილს და არ აპირებს მისთვის ხელის შეშლას და არც არავისთვის იმის მოწოდებას, რომ არ მივიდეს ოქრუაშვილის აქციაზე. ანუ დატოვოს ოქრუაშვილი სააკაშვილის პირისპირ. ოქრუაშვილს რჩება ორი გამოსავალი, ან მართლა დაუწყოს ბრძოლა სააკაშვილს, რაც მათ შორის შეთანხმების დარღვევა იქნება და ამას რა შედეგი მოყვება გასაგებია, ან არადა საბოლოოდ გაიშიშვლოს თავი და დაადასტუროს ის, რომ მისი ფიგურა არა ქართული პარტია, სადაც ძალიან ბევრი კარგი ადამიანია, არამედ კონკრეტულად ოქრუაშვილი ეხმარება სააკაშვილს და სააკაშვილის სატელიტ პარტიებს მიზნის მიღწევაში.

***— არის ამაზე წამსვლელი ბურჯანაძე?***

— ამ ნაბიჯს ნინო ბურჯანაძე სავარაუდოდ ვერ გადადგამს იმიტომ, რომ მას თავისი ვალდებულებები აქვს აღებული და მეორეც, ეს ძალიან მძიმე გადასადგმელი ნაბიჯია ქუჩის აქციებზე ორიენტაციააღებული პოლიტიკოსისთვის. მოსალოდნელ შედეგებზე ბურჯანაძემ აუცილებლად უნდა იფიქროს და მან უნდა მონახოს მაშინ სხვა გზა. ანუ თუ ის ქუჩის აქციაზე უარს არ ამბობს, უნდა მონახოს ოქრუაშვილის, ამ შემთხვევაში, როგორც სააკაშვილის მძიმე არტილერიის გასანეიტრალებელი გამოსავალი. ასეთი გამოსავალი შეიძლება ბუნებაში არსებობდეს, თუმცა მე ვშიშობ, თუ ბურჯანაძე ისევ იმ ადამიანების რჩევებს დაეყრდნობა, ვისი რჩევითაც ან ოქრუაშვილს დაარტყა, ან თავის დროზე ბიწაძე გამოვიდა და გაჩეჩილაძის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა, თუ ასეთ მრჩევლებს დაეყრდნობა, ის საკუთარ თავს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენებს.

***— თქვენ აცხადებთ, რომ ოქრუაშვილი მთლიანად სააკაშვილის თამაშს თამაშობს?***

— ოქრუაშვილი მთლიანად სააკაშვილის თამაშს თამაშობს, მაგრამ სააკაშვილის თამაშის კვალი ეტყობა ბურჯანაძის გარემოცვასაც. თვითონ ბურჯანაძე, გამორიცხულია, რომ სააკაშვილის თამაშს თამაშობდეს, იმდენად, რამდენადაც ბურჯანაძეს ეს არაფერი არ აძლევს. რაც შეეხება ოქრუაშვილს, ჩვენ თუ გავიხსენებთ, ოქრუაშვილი, ირაკლი ალასანია, თინა ხიდაშელი კურსელები და ძველი, ბავშვობის მეგობრები არიან. თუ გავიხსენებთ, ოქრუაშვილის გადადგომის შემდეგ რესპუბლიკელები ფაქტიურად ეპატიჟებოდნენ მას საკუთარ პარტიაში, ახლა რა ლანძღვა-გინებაც არის გამართული, ამას ნუ მივაქცევთ ყურადღებას. ასე ალასანია სააკაშვილსაც ლანძღავს, მაგრამ მე ეჭვი არ მეპარება, რომ მათ შორის შეთანხმება არსებობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილს პრემიერმინისტრობა უნდა და თან საგარეო ძალებსაც უნდა მოელაპარაკოს, სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ ერთგვარი შეთანხმება არსებობდეს სააკაშვილსა და იმავე ალასანიას შორის. აი, ამ ხალხის ჩამონათვალში, ვერასოდეს ვერ იქნება ბურჯანაძის ადგილი, იმიტომ, რომ ბურჯანაძის მიმართ როგორც



რესპუბლიკელების, ისე ალასანიას მხრიდან დიდი აგრესიაა და ეს უკვე პიროვნულშია გადასული. სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ბურჯანაძე ბუნებრივი მდგომარეობით არის ჩაყენებული სანდო პოლიტიკოსის მდგომარეობაში. გამოუვალი მდგომარეობა ბუნებაში არ არსებობს და ალბათ არსებობს სხვა გამოსავალიც, გარდა იმისა, რომ ოქრუაშვილი შევატოვოთ სააკაშვილს პირისპირ, რომელსაც სამწუხაროდ არავინ არ გააკეთებს. თუმცა მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც მინიმუმ, ჩვენ არ შევუქმნით სააკაშვილს გაპრემიერმინისტრებისთვის სასათბურე პირობებს, რისკენაც მიდის ეს ყველაფერი.

***— ოქრუაშვილის მხრიდან ანტიამერიკული განცხადებებიც სააკაშვილის ინტერესებს ემსახურებოდა?***

— რასაკვირველია. იმიტომ, რომ ასეთი ტიპის ანტიამერიკული განცხადებების კეთება ისეთივე აზრს და შედეგს მოკლებულია, როგორც ანტირუსული განცხადებების კეთება. საერთოდ ადამიანები, რომლებიც გეგმავენ ხელისუფლებაში მოსვლას, არავითარ შემთხვევაში რომელიმე ქვეყანას ან რუსეთს ან ამერიკას მტრად არ უნდა აცხადებდეს. მარგინალიზაცია ისეთი ძალის ხდება ხოლმე, რომელიც ან ხელისუფლებას ემსახურება, ან თავიდან ბოლომდე ავანტიურაზეა დაფუძნებული და ამ ავანტიურით უნდა ფონს გასვლა. ოქრუაშვილი კი არც ისეთი ავანტიურისტია, როგორ როლსაც თამაშობს. ის რომ ავანტიურისტი იყოს, დაჭერის შემდეგ არ მოიქცეოდა ისე, როგორც მოიქცა. უბრალოდ, მას მასმედიამ შეუწყო ხელი, არ შეარცხვინა, ისევ გმირის სტატუსით დატოვა და ახლა საერთოდ პარიზში ცხოვრობს პოლიტპატიმრის სტატუსით. გავიხსენოთ ისიც, ვისაც ოქრუაშვილი ამ წლების განმავლობაში შეეხო, გავიხსენოთ ფეკალურ მასებზე განცხადება რუსეთის მისამართით, ამ დროს რუსული ფინანსებით სარგებლობდა და დღემდე სარგებლობს ოქრუაშვილი; გავიხსენოთ ახლახან ამერიკის საწინააღმდეგოდ გაკეთებული განცხადებები, ეს ის ოქრუაშვილია, რომელიც ამერიკელებისგან დაფინანსდა და რომელმაც უზარმაზარი ჰონორარი მიიღო სწორედ ამერიკელებისგან ენერგეტიკულ სფეროში, ჩვენთვის უაღრესად წამგებიანი კონტრაქტის შედგენისათვის, როგორც ჯილდო. ამიტომ ოქრუაშვილისგან ასეთი ნაბიჯების გადადგმა, მორალის თვალსაზრისით მაინცდამაინც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

***— რას უნდა ველოდოთ 21 მაისს? შეძლებს ბურჯანაძე ქუჩაში დიდი მასის გამოყვანას?***

— ვნახოთ. ეს ის შემთხვევაა, როცა მე შეიძლება ჩემი მოსაზრება მქონდეს, მაგრამ თავს შევიკავებ ამ მოსაზრების გამოთქმისგან იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ბურჯანაძე, იმის მიუხედავად, მოგვწონს ჩვენ ბურჯანაძე თუ არ მოგვწონს. თუ ჩვენ არ გვინდა, რომ სააკაშვილს და მის ხროვას ხელი შევუწყოთ, რომ ამჯერად აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დარჩეს მომავალ არჩევნებზე, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ თუ დასაკავებელი გვაქვს მაინცდამაინც რაღაც ველი ამ პოლიტიკურ სპექტრში, ამ სიტუაციაში ყველაზე წესიერი პოზიცია იქნებოდა იმ ხალხის გვერდით დოგმა, რომელთაც მართლა უნდათ ამ ხელისუფლების შეცვლა და არ თამაშობენ. თუ ბურჯანაძეს მხარდამჭერები არ მოაკლდება, ამ ბოლო პერიოდში დაშვებული შეცდომების გამო, მას მხარდამჭერები უნდა დაეხმარონ, რომ ახალი შეცდომები არ დაუშვან. ორივე შემთხვევაში, მივა ხალხი აქციაზე თუ არ მივა, გარკვეული მოსაზრებების გამო ბურჯანაძე უზარმაზარ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე. ვფიქრობ, რომ მას ეს ყველაფერი გათვლილი აქვს და იმედს გამოვთქვამ, რომ ყველა ის ადამიანი, რომელმაც მას არასწორი და დანაშაულებრივი რჩევები მისცა და შეცდომაში შეიყვანა, მას კარგად ახსოვს მათისახელებით და გვარებით და თუ თავიდან ვერ მოიცილებს, ყოველ შემთხვევაში, მათ რჩევებს აღარ მოუსმენს.

***— 26 მაისს რაც შეეხება, ვიცით, რომ ხელისუფლება აღლუმის ჩატარებას გეგმავს, წესით ამ დროს ოპოზიციაც ქუჩაში უნდა იყოს. რისი იმედი აქვს სააკაშვილს?***

— მე ამ შემთხვევაში არ გავუსწრებდი მოვლენებს წინ. მე მაქვს ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რა დახვდება სააკაშვილს 26 მაისს ქუჩაში და საერთოდ, რას აპირებს სააკაშვილი და გააკეთებს თუ არა ამას 26 მაისამდე, დღეს ამის პროგნოზირება რეალურად შეუძლებელია. ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, წინასწარ რა დოზით იმოქმედა ოპოზიციის დამანგრეველმა პოლიტიკამ ოქრუაშვილის საშუალებით ხალხის მხარდაჭერაზე, ისევე, როგორც არ ვიცით, რა ზომების მიღებას აპირებს ნინო ბურჯანაძე, რომ მოსალოდნელი საფრთხეები აიცდინოს თავიდან 21 მაისისთვის. აქედან გამომდინარე ამის პროგნოზირება ძალიან რთულია.

***— ძალიან ბევრ პროვოკაციას უნდა ველოდოთ ხელისუფლების მხრიდანო.***

— ხელისუფლება დიდი ხანია პროვოკაციაზე წასულია. ბიწაძის განცხადება გაჩეჩილაძის წინააღმდეგ იყო ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია. იყო საუბრები, რომ თითქოსდა ქართული პარტია და სახალხო კრება ერთიანდებოდნენ და სწორედ ამ დროს გააკეთა ოქრუაშვილმა ეს განცხადებები და ესეც ხელისუფლების პროვოკაციაა. ასევე ნინო ბურჯანაძისთვის მიცემული რჩევა, რომ მას დაერტყა ოქრუაშვილისთვის სხვა პარტიების მსგავსად, ესეც ხელისუფლების პროვოკაციაა, რომელიც სამწუხაროდ განახორციელა შეცდომაში შეყვანილმა ბურჯანაძემ. კიდევ ძალიან ბევრ პროვოკაციას უნდა ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან და ბევრს და უფრო სერიოზულს.

# ვემიჯნებით ამერიკის საელჩოსთან დაგეგმილ საპროტესტო აქციას!

**30-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ემიჯნება „ქართული პარტიის" მიერ ამერიკის საელჩოსთან დაგეგმილ საპროტესტო აქციასა და 21 მაისიდან ქვეყნის მასშტაბით რევოლუციური პროცესის წამოწყებას სახალხო კრებისა და „ქართული პარტიის" მიერ.**

შორენა კოწოწაშვილი



არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვა ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული აკადემიის“ წევრმა ნუკრი ქანთარიამ გააცნო.

ამ მიმართვით არასამთავრობოები პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით დაწყებული მოლაპარაკებების პროცესის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ.

— მოგეხსენებათ, როგორი ვითარებაა. საზოგადოების ნაწილის ყურადღება გადატანილია ქუჩის პროტესტისკენ. ჩვენ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ, თუკი ეს პროტესტი დაიწყებოდა საარჩევნო გარემოს მოთხოვნით. ასე ჯერჯერობით არ ხდება. თუ 22 მაისიდან ეს ხელისუფლება გააგრძელებს და პოლიტიკური ველიდან მშვიდობიანად გაქრება, ძალიან კარგი, მაგრამ ეჭვი გვაქვს, წარუმატებლობის შემთხვევაში ეს არ გადაედოს მთელ საპროტესტო ელექტორატსა და საზოგადოებას, — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ნუკრი ქანთარიამ და ეჭვი შეიტანა იმ გზის პერსპექტივაში, რომელსაც ოქრუაშვილისა და ბურჯანაძის გუნდები დაადგნენ.

რაც შეეხება თავად მიმართვას, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რამდენიმე [illegible] პირიც აწერს ხელს, ის საკმაოდ მრავლისმომცველია და ხელისუფლების მშვიდობიან ჩანაცვლებაზეა გათვლილი.

— საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება უკიდურესად მძიმეა. შექმნილ ვითარებაში გამოსავალი იქნება ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული არჩევნების გზით, რასაც წინ უნდა უძღოდეს საარჩევნო გარემოს შეცვლა. საარჩევნო გარემოს შეცვლის მოთხოვნით რვიანის წევრთა მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, რაც პოლიტიკურ ძალთა ნაწილს საფუძველს აძლევს, ეჭვქვეშ დააყენოს ასეთი მოლაპარაკებების წარმატების პერსპექტივა და ვითარების შეცვლის ერთადერთ გზად მოვლენათა რევოლუციური განვითარება მიაჩნია. ამიტომ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი პოზიციაა: მოვითხოვთ სამართლიან საარჩევნო გარემოში საქართველოს მოსახლეობის მიერ თავისუფალი პოლიტიკური ნების გამოვლენის უფლებას, რისი აუცილებელი პირობაც არის: ამომრჩეველთა რეალური რაოდენობის დადგენა; სამართლიანი საარჩევნო კოდექსის მიღება; საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცულობის კონსტიტუციური გარანტია. ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზაცია და საარჩევნო პროცესებში მათი ჩაურევლობა; სასამართლო სისტემის დეპოლიტიზაცია; მედიისა და ბიზნესის თავისუფლება სახელისუფლებო წნეხისაგან; არჩევნების პროცესში მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული და საბიუჯეტო რესურსების გამოყენების აკრძალვის რეალური მექანიზმების შექმნა, — ნათქვამია არასამთავრობო

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საქართველოს მუსლიმანები ბაქოს აღარ დაემორჩილებიან

## რა მიზანს ემსახურება „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ შექმნა

გერა მამულაშვილი

„სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო“ გასულ კვირას დაფუძნდა. მისი შექმნის მიზეზად მუსლიმანური საზოგადოების საქმიანობისა და მეჩეთების კონტროლი დასახელდა. აღნიშნული ფუნქციები მანამდე „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ ეკუთვნოდა.

ალსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა დიდი ნაწილი აზერბაიჯანელია, თუმცა, არის მეორე ნაწილიც, რომელიც ძირითადად აჭარაში მცხოვრები მუსლიმებისგან, ასევე აღნიშნული სარწმუნოების აფხაზებისგან, ჩეჩნებისა და სხვა ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეებისგან შედგება.

ამასთან დაკავშირებით ბაქოში კავკასიელ ხალხთა უმაღლესი რელიგიური საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაში საქართველოსა და დაღესტანში კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებმა, ასევე კავკასიის ყველა მუფტიმ მიიღო მონაწილეობა.

1992 წელს შექმნილმა კავკასიის ხალხთა უმაღლესმა რელიგიური საბჭომ „საქართველოში მუსლიმანების სამმართველოს“ შექმნა დაგმო. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ტრენდი“ ავრცელებს.

— საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მუსლიმანების სამმართველოს“ შექმნა ამ ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანების აზერბაიჯანიდან მოწყვეტას ისახავს მიზნად, — აცხადებს კავკასიის მუსლიმანების სამმართველოს თავმჯდომარე გაჯი ალლახშუკიურ ფაშაზადე საქართველოში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციის ფაქტის კომენტირებისას.

ფაშაზადეს აზრით, „საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს“ შექმნის უკან „დიდი სომხეთის“ იდეა დგას.

— ეს პროცესი ამ დღეებში არ დაწყებულა. ეს მაშინ დაიწყო, როდესაც ქართველებმა ხუთჯვრიანი დროშა შემოიღეს, — აღნიშნა ფაშაზადემ.

— ყველა სახელმწიფოს ყველა საკითხზე გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად შეუძლია. თუ საქართველოში ყველა რელიგიის სამმართველო შეიქმნებოდა, ამის გამართლება შეიძლებოდა. დარწმუნებული ვარ, ამ გეგმის უკან დიდი სომხეთის იდეა დგას, — განაცხადა ფაშაზადემ.

მისივე თქმით, კავკასიის ხალხთა უმაღლესმა რელიგიურმა საბჭომ გუშინ ჩატარებულ სხდომაზე საქართველოში ამ არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა ასევე დაგმო.

როგორც აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ ცენტრი საბჭოთა კავშირის დროიდან ბაქოში მდებარეობდა, თუმცა, ახლა ის საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებზე კონტროლს კარგავს

**ქართველ მუსლიმანთა სამმართველოს შექმნას გამოხმაურება მოჰყვა. ბაქოში ამ ნაბიჯის უკან „სომხური იდეა“ დაინახეს და შეშფოთება გამოხატეს. თბილისში ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ საქართველოში მრავალი მუსლიმანური თემი არსებობს და აუცილებელია, მათ საკუთარი ორგანო ჰქონდეთ.**



და მოსკოვის საპატრიარქოს მსგავს სიტუაციაშია, რომლისგანაც მრევლი გარბის“.

— ჩვენ საქართველოში კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს მსგავსი სტრუქტურის შექმნას უარყოფითად ვაფასებთ. სამმართველოს ხელმძღვანელობა ყოველთვის ბაქოში იყო და აზერბაიჯანელებისგან შედგებოდა, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, „საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელობაში არც ერთი აზერბაიჯანელი არ არის“, — განაცხადა „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ წარმომადგენელმა საქართველოში ალი ალიევმა და დასძინა, რომ აზერბაიჯანელები აღნიშნულ სტრუქტურაში მეორეხარისხოვან თანამდებობებს იკავებენ.

ალი ალიევის განცხადებით, „საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მხარს უჭერენ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს, რომელსაც ალლახშუკიურ პაშაზადე ხელმძღვანელობს“.

მისივე თქმით, „ცოტა ხნის წინ საქართველოში შექმნილი მუსლიმთა კომიტეტი არასამთავრობო სტრუქტურაა და ამიტომ იმის თქმა, რომ მისი შექმნის უკან საქართველოს ხელისუფლება დგას, არ შეიძლება“.

— საქართველოს ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი აზერბაიჯანთან და აზერბაიჯანელ ხალხთან მეგობრობის დეკლარირებას მუდმივად ახდენს, ამიტომ არ ვთვლით, რომ ამ კომიტეტის შექმნის მიზანი საქართველოს სახელმწიფოსგან გამომდინარეობს. საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა და იქ ათასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. როგორც ჩანს, ვიღაცამ მსგავსი ორგანიზაციის შექმნა თითქოსდა საქართველოში მუსლიმანთა უფლებების დაცვის მიზნით გადაწყვიტა. მე ჯერჯერობით მათ პროგრამასა და წესდებას არ ვიცნობ, ამიტომ მის ჭეშმარიტ ზრახვებზე არაფრის თქმა არ შემიძლია, თუმცა, ცნობილია, რომ საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობის მუსლიმანებს აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტნი არიან და მათი აზრი ძირითადია. თავის მხრივ, ყველა აზერბაიჯანელი საქართველოში მხარს უჭერს კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს, რომელსაც პატივცემული შეიხი ალლახშუკიურ ფაშაზადე ხელმძღვანელობს, — განაცხადა ალიევმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ „ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება, იმდენად, რამდენადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტები და სულიერი ლიდერები შექმნილი პრობლემებიდან გამოსავალს ყოველთვის პოულობდნენ“.

ამ საკითხს საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმიც“ გამოეხმაურა, რომელმაც ინტერვიუ აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე არაზ ალიზადეს ჩამოართვა. მისი განცხადებით, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნის უკან ქვეყნის ხელისუფლება დგას.

— საქართველო ცდილობს, ყველაფერი ისე გააკეთოს, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები აზერბაიჯანისაგან რაც შეიძლება მეტად გამიჯნოს და აზერბაიჯანს საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელების დახმარებაში ხელი შეუშალოს. ეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიზანმიმართული პოლიტიკაა, — აღნიშნა არაზ ალიზადემ.

მისი მოსაზრებით, იმ ფაქტორის მოშველიებით, რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ძირითადი ნაწილი სუნიტია, ხოლო კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელი შეიხ ულ ისლამ ალაჰშუქურ ფაშაზადე — შიიტი, ხელისუფლებას შიიტებსა და სუნიტებს შორის განხეთქილების შეტანა და კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ავტორიტეტის შესუსტება სურს. თავის დროზე ამის მიღწევას ჩეჩნეთში სეპარატისტებიც ცდილობდნენ, რომლებსაც კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს დაქვემდებარებიდან გასვლა სურთ.

ვფიქრობ, აზერბაიჯანმა ამ საკითხზე საკუთარი პოზიცია მკვეთრად უნდა გამოხატოს და საქართველოს თავისი ადგილისაკენ მიუთითოს, — აღნიშნა არაზ ალიზადემ.

მისი განცხადებით, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მსგავსი ორგანიზაციები თავისუფლად შეიძლება აჭარაში შეიქმნას, რადგან იქ ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ.

— თუმცა, მან მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე უნდა იმოქმედოს და არა მთელ საქართველოში. საქართველოს არავინ უშლის, რომ ქვეყანაში რაღაც ისლამური ორგანიზაციები არსებობდეს, რადგან კავკასიის მუსლიმთა სამმართველო შიიტური ორგანიზაციაა. სუნიტებს თავიანთი ორგანიზაციის შექმნა შეუძლიათ, მაგრამ — მხოლოდ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა კი სწორედ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს საქმიანობას ეწინააღმდეგება. რატომ უნდა ექვემდებარებოდეს საქართველოში მეჩეთები ახლად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, რომელსაც ქართველი ხელმძღვანელობს? — აღნიშნა არაზ ალიზადემ.

მისი განცხადებით, სწორედ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოა საერთაშორისო დონეზე აღიარებული ის ორგანიზაცია, რომელიც დადებით როლს ასრულებს კავკასიის ისლამური სამყაროს ერთიანობის შენარჩუნებაში. ახლა კი სუნიტებად და შიიტებად მისი დაშლის მცდელობა კავკასიას, მათ შორის, აზერბაიჯანს, რელიგიური ომის საფრთხის წინაშე დააყენებს. არაზ ალიზადეს მოსაზრებით, საჯარო განცხადებები იმაზე, რომ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელი შეიხ ულ ისლამ ალახშუქურ ფაშაზადე შიიტია, სამხრეთ კავკასიაში კი ძირითადად სუნიტები ცხოვრობენ, რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგაც არის მიმართული.

არაზ ალიზადე დარწმუნებულია, რომ კავკასიაში სუნიტებსა და შიიტებს შორის ანტაგონისტური განწყობის ჩამოყალიბება, ისევე, როგორც შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფებების შექმნა, საუდის არაბეთიდან ფინანსდება.

— ძალიან საინტერესოა, რომ მიხეილ სააკაშვილისა და საუდის არაბეთის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. რატომ? იმიტომ რომ ორივე აშშ-ის მითითებით მოქმედებს. დავამატებ, რომ კავკასიაში სუნიტურ-შიიტური დაპირისპირების გაღვივება იგივე სცენარია, რომელიც ერაყში დაიდგა. იქიდან ამერიკის ჯარი გავიდა, მაგრამ სუნიტები და შიიტები ერთმანეთს ანადგურებენ. ეს ძალიან საშიში რამაა. ერაყის შიიტებს თითქოსდა — ირანი, სუნიტებს კი საუდის არაბეთი ეხმარებიან. დასავლეთში შემდეგი პრინციპით მოქმედებენ: დახოცეთ ერთმანეთი, ოღონდ ჩვენ ვიყოთ მშვიდად, — განაცხადა არაზ ალიზადემ.

ამ თემაზე კომენტარს თბილისშიც აკეთებენ. „ექსპრესნიუსთან“ საუბრისას ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „საქართველოს მუსლიმანური სამმართველოს“ შექმნის უკან სომხური იდეის არსებობას გამორიცხავს. მისი თქმით, თვითონ მას ჰქონდა იდეა, რომ ჩამოყალიბებულიყო მუსლიმანური სამმართველო, სადაც ქართველი სუნიტები გაერთიანდებოდნენ და ამ ორგანოს დახმარებით შეძლებდნენ საკუთარი პრობლემების მოგვარებას.

— მე თვითონ მქონდა ასეთი ორგანოს შექმნის იდეა, რადგან საქართველოში მრავალი მუსლიმანური თემი არსებობს და აუცილებელია მათ ჰქონდეთ საკუთარი ორგანო. ფაშაზადეს ქართველი შიიტები ექვემდებარებიან, ხოლო ქართველ სუნიტებს ორგანო, რომლის დახმარებით მრავალ საკითხს გადაწყვეტენ, არა აქვთ. მაგრამ ვერ მივხვდი, რა ფორმით ჩამოყალიბდა იგი, რადგან ეს არის საერთო-რელიგიური ერთობა და მისი მოღვაწეობის იურიდიულ ფორმას მე ბოლომდე არ ვიცნობ. ამიტომ ვერ გეტყვით, მისი მუშაობა რამდენად ეფექტური იქნება, — აცხადებს არეშიძე.

მისივე თქმით, ისევე, როგორც მან, ალბათ, ბაქოშიც ვერ გაიგეს სწორად, თუ რას ემსახურება ეს სამმართველო და ამიტომ განაცხადეს, რომ მის უკან სომხური იდეა დგას.

— ფაშაზადემ, ისევე, როგორც მე, ალბათ, ვერ გაიგო, რა მიზანს ემსახურება ეს სამმართველო და იფიქრა, რომ სომხეთ-საქართველოს ბოლო პერიოდის დაახლოების ფონზე შეიქმნა პროდუქტი, რომლის უკან სომხური იდეა დგას, — აცხადებს არეშიძე.

# ვემიჯნებით ამერიკის საელჩოსთან დაგეგმილ საპროტესტო აქციას!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ორგანიზაციების მიმართვაში.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიმართავენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროცესში მონაწილე ყველა პოლიტიკურ ძალას, უპირველესად ყოვლისა — ხელისუფლებას: გადაუდებლად განაახლონ საარჩევნო გარემოზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები, რათა წინასწარ განსაზღვრულ ვადაში — მაისის ბოლომდე მოხდეს შეთანხმება ყველა პრინციპულ საკითხზე, ხოლო პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე უზრუნველყოფილ იქნეს მათი დამტკიცება; და მეორე: მხარეებმა უზრუნველყონ მოლაპარაკების პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა.

— ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოლაპარაკებათა პროცესის გაჭიანურებამ და დიალოგის რესურსის ამოწურვამ ქვეყანაში არსებული უკიდურესად დამძიმებული სოციალური ფონის პირობებში შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი პროცესები, რომლებიც რეალური საფრთხის ქვეშ დააყენებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

მისი თქმით, აშკარად გამოკვეთილი, უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერის პირობებში, ვფიქრობთ, უკლებლივ ყველა ოპოზიციურმა ძალამ, საქართველოს საზოგადოებამ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლების გამოყენებით მხარი უნდა დაუჭიროს სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნის მოთხოვნას.

— სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა, პირველ რიგში, ხელისუფლების ვალდებულებაა და ეს საკითხი უნდა განისაზღვრებოდეს სახელმწიფოებრიობის განვითარების აუცილებლობითა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, — ნათქვამია პოლიტიკური პარტიებისადმი გაკეთებულ მიმართვაში.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მიმართვის ტექსტი ღიაა ყველა მსურველისთვის ხელმოსაწერად. მიმართვას „ქართულ აკადემიასთან“ ერთად ხელს აწერენ: ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის; სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“; კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის ცენტრი; ადვოკატთა ასოციაცია და ა.შ.

— ჩვენ, ბუნებრივია, ვემიჯნებით „ქართული პარტიის“ მიერ ამერიკის საელჩოსთან დაგეგმილ საპროტესტო აქციას. ასეთი მხარდაჭერის პირობებში, ვფიქრობ, ეს თუ იქნება ტენდენცია და ეს პროცესი გაღვივდება, არა მგონია, ქვეყნის ინტერესებს წაადგეს. ვგულისხმობ აქციას იმ მოთხოვნებით, რომლებითაც ლიდერები გამოდიოდნენ — „ონკანების გადაკეტვა“, თავისუფლების შეზღუდვა და ა.შ. ანუ იმ მოთხოვნებით, რომლებიც პარიზიდან გავიგეთ. თუ იქნება აქციები იმ მოტივით, რომ კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას, დემოკრატიული პრინციპების განვითარებას, მაშინ, კი ბატონო, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

მისი თქმით, მართებული არ არის ამერიკის საელჩოსთან ამ მოთხოვნებით გამოსვლა, იმიტომ რომ ბოლო ხანს მართლაც თითქმის რადიკალურად არის შეცვლილი ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებისადმი. გაცილებით მეტია მხარდაჭერა ქვეყნისადმი და არა რეჟიმისადმი.

# სააკაშვილმა მძარცველი დინოზავრები დააჯილდოვა

**ლეიბორისტული პარტია პრეზიდენტის მიერ გასულ კვირას ბიზნესმენთა დაჯილდოებას აპროტესტებს, მათ ოლიგარქებს უწოდებს და მათი დაგროვილი ქონებით მომავალში ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას გეგმავს.**

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტები გეგმავენ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამ ბიზნესმენებისგან ჩამორთმეული ქონებით „სახალხო გადარჩენის ფონდი“ შექმნან და ეს მილიონობით ლარი გაჭირვებული მოსახლეობის სასიკეთოდ გამოიყენონ.

ლეიბორისტების მტკიცებით, პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებული ბიზნესმენები უკანონოდ გამდიდრებული ოლიგარქები არიან, რომლებმაც ქონება ძალაუფლების ბოროტი გამოყენებით მოიპოვეს.

როგორც ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სახალხო გადარჩენის ფონდიდან რეჟიმის მიერ დაყაჩაღებული და გაღატაკებული ოჯახები, პენსიები, ჯანდაცვა და განათლება დაფინანსდება.

— გასულ კვირას უკანონოდ გამდიდრებული ოლიგარქთა ბანდის მეთაურმა მიხეილ სააკაშვილმა ბიზნესმენებად წოდებული ის მძარცველი დინოზავრები დააჯილდოვა, რომლებმაც კრიმინალური მაქინაციებით ხალხის გაძარცვის ხარჯზე უზარმაზარი ქონება მოიპოვეს. მცირერიცხოვან მდიდართა ეს კასტა მთელი ქვეყნის სიმდიდრეს არის დაუფლებული, რის გამოც მოსახლეობის უმრავლესობა დღეს გაღატაკებული და დამშეულია, — აცხადებს გიორგი გუგავა. მისი თქმით, სწორედ ეს ბიზნესმენებად წოდებული მძარცველები დააჯილდოვა გასულ კვირას უკანონოდ გამდიდრებულ ოლიგარქთა ბანდის მეთაურმა.

გუგავას თქმით, სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თანხა, რომელიც ამ ვითომ ბიზნესმენებმა დააგროვეს, „გადარჩენის ფონდში“ აკუმულირდება და ამით გაჭირვებული ოჯახები დაფინანსდებიან.

# რითი დააშინა ხელისუფლებამ დევნილები

გულიკო ბალაე

### ინტერვიუ ორგანიზაცია „დაბრუნების“ ლიდერთან, ადვოკატ მალხაზ პატარაიასთან

*— ბატონო მალხაზ, ხელისუფლება პერმანენტულად აახლებს დევნილების გამოსახლების პროცესს და თბილისიდან მათ განსახლებას ახდენს. ახლაც გახმოვანდა, რომ ხელისუფლება ერთ-ერთი ჩასახლების ადგილიდან დევნილების გასახლებას აპირებს. ამაზე თვითონ დევნილები საუბრობდნენ. ეს პროცესი როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?*

— ჩემთვის არ არის ცნობილი, ამ ეტაპზე ხელისუფლებას თუ აქვს განზრახული რომელიმე ჩასახლების ობიექტიდან დევნილების გამოსახლება. ჩვენს საადვოკატო ბიუროში საკმაოდ ხშირად მოდიან ხოლმე დევნილები სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით. მათ შორის ძირითადი მაინც გამოსახლებაა, მაგრამ ამის თაობაზე არაფერი მსმენია.

*— თვითონ ასეთი პროცესებისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია?*

— ზოგადად ხელისუფლება სულ უფრო მეტად ავლენს ტოტალიტარულ მიდრეკილებებს. ტოტალიტარული მმართველობის სტილისთვის კი დამახასიათებელია ტოტალური სადამსჯელო აქციები კონკრეტული საზოგადოებრივი ფენების მიმართ. ასეთი სადამსჯელო აქციები ჩვენი ბოლშევიკური წარსულიდან ცნობილია. ამ მეთოდს წარმატებით იყენებს ხელისუფლება, მაგრამ ამჯერად დევნილების რიგი არ უნდა იყოს.

*— აბა, ვისი რიგია?*

— თუმცა, გამორიცხული არაფერია, ვინაიდან ხელისუფლება ხშირად გაუაზრებელ და იმპულსურ გადაწყვეტილებებს იღებს.

*— დევნილთა გამოსახლების არაერთი ფაქტია ცნობილი. ეს დევნილების დასჯის ღონისძიებები იყო?*

— ზოგადად სადამსჯელო ღონისძიებები გახლდათ. ხელისუფლება გარკვეული მიმართულებით ხშირად ახორციელებს მასობრივ ღონისძიებებს. სადამსჯელო აქციები ხან გარემოვაჭრეების წინააღმდეგაა მიმართული, ხან პროფესორებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ხან კიდევ სხვა ფენების მიმართ. ეს არის საზოგადოების მართვაში გარკვეული შიშის ელემენტის შემოტანა. ამდენად, ეს ღონისძიებები სადამსჯელოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ მიმართულია გარკვეული რეპრესიული ღონისძიებები. ეს რეპრესიული ღონისძიებები დევნილთა მიმართ ვლინდება სისასტიკეში, არაადამიანურ, არაჰუმანურ მოპყრობასა და გადასახლებაში, კაცმა არ იცის, სად. სხვათა შორის, ადამიანთა დიდი ჯგუფების გადასახლება იყო ბოლშევიკების არსენალში.

*— დევნილების დეზორგანიზება უნდათ, რომ რეაგირება არ მოახდინონ ხელისუფლების უუნარობაზე, არადემოკრატიულ გამოვლინებებზე? დევნილებს, ამ დატანჯულ ხალხს მაინც რას ერჩიან?*

— საერთოდ, ხელისუფლებას დევნილების არანაირი აქტიურობა არ აწყობს. ხელისუფლებას ურჩევნია, დევნილები პასიურ მდგომარეობაში ჰყავდეს. თავის სასარგებლოდაც კი არ აწყობს ხელისუფლებას დევნილების აქტიურობა, რადგან დღეს შეიძლება ის აქტიური იყოს ხელისუფლების მხარეს, მაგრამ ხვალ შეიძლება სხვა პოლიტიკურ ძალებს გაჰყვეს. მეორე მიზეზი შეიძლება უფრო პოლიტიკური იყოს. ამაზე გარკვეულ მოვლენათა ლოგიკა მიუთითებს.

*— მაინც?*

— ჩემი აზრით, შესაძლოა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ჯერ კიდევ პოპულარული იყოს, ანუ გავლენით სარგებლობდეს ცნობილი რუსული გეგმა, რომელიც თავის დროზე გაახმოვანა რესპუბლიკურმა პარტიამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის სახელით. ამ კონცეფციის შინაარსში არსობრივად დევს ორი მნიშვნელოვანი რამ — ერთი, რომ აფხაზეთთან უნდა იყოს სამოკავშირეო ხელშეკრულება, მეორე — დევნილთა უდიდესი ნაწილი აფხაზეთში არ უნდა დაბრუნდეს.

*— ეს კონფედერაციული მოწყობის გეგმაა თუ უფრო უარესი?*

— ანუ ძალიან მყიფე ურთიერთობა დანარჩენ საქართველოსთან და ამის გაკეთება ხელშეკრულების საფუძველზე. შემდეგი პუნქტი დევნილთა დიდი ნაწილის არდაბრუნებაა, ანუ ამ გეგმით აფხაზეთში დემოგრაფიული ბალანსი არ უნდა შეიცვალოს.

*— ამიტომ ხომ არ უკანონებენ დევნილებს საცხოვრებელ ადგილებს რეკლამირებულად, რათა მავანმა გაიგოს, რომ დევნილებს აქ ამკვიდრებენ? თუმცა, აქაც დევნილების დიფერენცირება ხდება, ერთ ნაწილს უკანონებენ, ხოლო მეორე ნაწილს საცხოვრებელი ადგილებიდან ასახლებენ. რას უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლების ასეთი მიდგომა დევნილთა პრობლემისადმი?*

— თავისთავად ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა ცუდი მოვლენა არ არის. ეს ადამიანები 15 წლის შემდეგ მაინც ღირსნი არიან, მინიმალურად ადამიანურ პირობებში იცხოვრონ და, მოსახლეობის სხვა ნაწილის დარად, იყვნენ რაღაც უძრავი ნივთის მესაკუთრენი. თუმცა, ხელისუფლებას ამ საკითხში დიდი სატრაბახო ნამდვილად არა აქვს. როგორც წესი, დევნილები ცხოვრობენ ხანგრძლივი ბინადრობისთვის სრულიად შეუფერებელ საცხოვრებელ პირობებში, ძალიან მცირე ფართზე. ამიტომ თავისთავად საცხოვრებელ პირობებს პრივატიზაციის პროცესი ვერ აუმჯობესებს, როგორი მძიმეც იყო, ისეთივე რჩება. ამასთან, დევნილებს, საცხოვრებელი ფართების პრივატიზაციის შემდეგ, ეხსნებათ დახმარებები და ა.შ.

— შეიძლება ხელისუფლებამ დევნილებს უთხრას, საცხოვრებელი ფართებით უკვე დაგაკმაყოფილეთ და დაბრუნებაზე ნუ იფიქრებთო? შესაძლოა, ეს არის ჩაფიქრებული, როდესაც ახმოვანებენ, ერთ-ორ ჯგუფს საცხოვრებელ ფართს როგორ უკანონებენ? ამ საკითხის გახმოვანება დადებითი ფაქტორი არ უნდა იყოს იმ სიტუაციაში, როცა ამას ჩვენი მტრებიც ისმენენ. თუ დევნილს დააკმაყოფილებ საცხოვრებელი ფართით, მაშინ აღარ იქმნება მისი დაბრუნების საჭიროება. საერთაშორისო ორგანიზაციებშიც არის ასეთი გეგმები, რომ დევნილები იქ უნდა დამკვიდრდნენ, სადაც ახლა ცხოვრობენ.

— ცალკე აღებული ეს მოვლენა თავისთავად ამას არ ნიშნავს, მაგრამ გარკვეულ ფაქტებთან კონტექსტში შესაძლოა ასეთი დასკვნა

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# რატომ დუმს ხელისუფლება საინგილოში მიმდინარე პროცესებზე

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.**

ქართული მედია საინგილოში რამდენიმე ხნის წინ მომხდარ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. როგორც სოფელ ალიაბადის მოსახლეობა აცხადებს, სკოლაში გამართულ შეხვედრაზე მიწვეულმა საქართველოს ელჩმა აზერბაიჯანში თეიმურაზ შარაშენიძემ საინგილოს ეთნიკურ ქართველებს შეურაცხყოფა მიაყენა. ამის საფუძველზე საინგილოში მცხოვრებმა ქართველებმა ელჩის გამოწვევის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ ინფორმაციას ხელმოწერების შეგროვების შესახებ არ ფლობს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, სანამ არ ჩატარდება შესაბამისი მოკვლევა, მანამდე არათუ რეაგირებას არ მოახდენს სამინისტრო, არამედ ეჭვიც არ ეპარება თეიმურაზ შარაშენიძეზე, როგორც ელჩზე, დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად განხორციელებაში.

— ჩვენთვის არავის არ მოუმართავს, არც საინგილოში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს, რომელთა ინტერესის დაცვა უპირველესი მნიშვნელობის არის როგორც სამინისტროსთვის, ისე მივლენილი ელჩისთვის. სანამ შესაბამისი მოკვლევა არ ჩატარდება და არ გაირკვევა, რეალურად რა დგას ამ ბრალდებების უკან, ჩვენ არა მხოლოდ რეაგირებას არ მოვახდენთ, არამედ ამ ეტაპზე ეჭვი არ შეგვაქვს ჩვენი ელჩის საქმიანობაში, — განაცხადა კალანდაძემ.

საბერძნეთში 14 ქართველი საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის მიზნით იქნა დაკავებული. გავრცელებული ინფორმაციით, გასულ შაბათს თურქეთიდან საბერძნეთში ავტობუსში დამალულები საბერძნეთის საზღვრის გადაკვეთას უკანონოდ ცდილობდნენ.

როგორც საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, ინგა კიკვაძემ პრესასთან საუბრისას განაცხადა, რეიდი განხორციელებული იყო ევროპოლიციის მიერ. ამ ეტაპზე დაკავებული საქართველოს მოქალაქეები სპეციალური დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილი.

— კვლავ სამწუხარო ფაქტს აქვს ადგილი, რომელიც არალეგალური მიგრაციაა. როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა სწორედ ფარული და არალეგალური გზით საქართველოს მოქალაქეების გადაყვანას საზღვარზე, — აღნიშნა კალანდაძემ.



საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავების მიზნით მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი გაიმართება.

17-18 მაისს ევროკავშირის დელეგაცია ჩამოდის, რომელსაც გუნარ ვიგანდი უხელმძღვანელებს, ქართული მხრიდან კი ევროკავშირთან მთავარი მომლაპარაკებელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე იქნება.

— საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება ურთიერთობის ახალი ეტაპი არის, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ყველა არსებული მექანიზმის განხილვა, გადახედვა და პროგრესის დაფიქსირება ხდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ასოცირების პროცესი რაც შეიძლება სწრაფად წარიმართოს. თუმცა, ძალიან ბევრ ტექნიკურ და ბიუროკრატიულ ბარიერთან გვაქვს საქმე. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრები სისტემატიურად იმართებოდეს. ბოლო პერიოდში ევროკავშირთან წარმოებული სხვადასხვა დონის სამუშაო ჯგუფების შეხვედრები წარმატებით მიმდინარეობს, — განაცხადა კალანდაძემ.

გრიგოლ ვაშაძე სამუშაო ვიზიტით იმყოფება შვედეთისა და დანიის რესპუბლიკაში. საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნული ვიზიტით 18 მაისამდე დარჩება საზღვარგარეთ.

— ამ ვიზიტს მნიშვნელობას ვანიჭებთ იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის სამუშაო ვიზიტი და სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ყოველთვის შესაძლებელია, რომ მინისტრების დონეზე მოხდეს ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, რომელიც უახლოესი მომავალი ეტაპისთვის არის მნიშვნელოვანი, — აღნიშნა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 17-19 მაისს საქართველოში ჩამოდის კორეის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის წარმომადგენლებისგან შემდგარი დელეგაცია.

ნინო კალანდაძის განცხადებით, საქართველო კორეაში უახლოეს მომავალში წარმომადგენლობას გახსნის.

— ჩვენ ვცდილობთ გავაფართოვოთ თანამშრომლობის არეალი. კორეაც არის ის სახელმწიფო, რომელთანაც გვინდა განსაკუთრებით ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური ურთიერთობები იყოს მაქსიმალურად გაღრმავებული. შესაბამისად მნიშვნელობას ვანიჭებთ მათ შორის საპარლამენტო საქმიანობასაც, რომ შეიქმნას საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფები. ჩვენი მხრიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს დაგეგმილი აქვს, კორეაში ოფიციალური წარმომადგენლობა გახსნას. თუ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება საელჩოს გახსნა, მოგვიანებით, რა თქმა უნდა, ეს იგეგმება. გადაწყვეტილება მიღებულია, რომ ერთი დიპლომატი სრულფასოვანი დიპლომატიური მანდატით იქნება აღჭურვილი და, შესაბამისად, მისი რეზიდენციაც განთავსდება კორეაში. იმედი გვაქვს, რომ ამით კიდევ უფრო დავაჩქარებთ ჩვენი დაახლოების პროცესს, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

16-17 მაისს საქართველოში ვიზიტით ჩამოდის კამბოჯის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ასევე კამბოჯის სამეფოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი და მისი სპეციალური წარმომადგენელი.

ვიზიტის დროს დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართება.

# მაუდკომბინატის აქციონერები შველას ითხოვენ

შორენა გონგლაე

დიდუბეში, ყოფილი მაუდკომბინატის ტერიტორიაზე, თორმეტ წელზე მეტია კვირა არ გავა, პატარა აქცია არ გაიმართოს. მართალია აქციას მედია არ აშუქებს და მათი პრობლემა არც წინა და არც ამ ხელისუფლებას დიდად არ ანაღვლებს, მაგრამ მაუდკომბინატის ყოფილი აქციონერები კომბინატის დაბრუნების იმედს არ კარგავენ, მაგრამ როგორ, ეს თავადაც არ იციან. მაუდკომბინატის აქციონერებმა წერილობით როგორც პრეზიდენტს, ასევე სასამართლოსა მიმართეს, მაგრამ მათგან მხოლოდ დუმილი მიიღეს. მოკლედ, აგერ უკვე რამდენი წელია პრობლემა პრობლემად რჩება, ყველაფერი კი 1998 წლიდან დაიწყო, როდესაც აწ განსვენებულმა ბადრი პატარკაციშვილმა მაუდკომბინატის აქციების ყიდვა გადაწყვიტა. იმ დროისათვის კომბინატის საერთო ღირებულება 51 მილიონი აშშ დოლარი იყო. მაუდკომბინატის 51 პროცენტი წილის მფლობელი სახელმწიფო იყო, დანარჩენ 49 პროცენტს კი თავად მაუდკომბინატის პერსონალი ფლობდა. კომბინატის გაყიდვაზე ინფორმაციის გავრცელებისთანავე, კომბინატის თანამშრომლებმა სახელმწიფოსგან აქციების დანარჩენი 51 პროცენტის შესყიდვა გადაწყვიტეს, თუმცა ამ წინადადებაზე უარი მიიღეს. საბოლოოდ 51 მილიონიანი ქონება სახელმწიფომ 10 ათას დოლარად გაყიდა. რა თქმა უნდა, ახალმა მფლობელებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი ვალდებულება არ შეასრულეს, მაუდკომბინატის რეალური მფლობელის ვინაობა დღემდე გაურკვეველია, შესაბამისად, მაუდკომბინატის ყოფილ აქციონერებს ქარის წისქვილებთან უწევთ ბრძოლა. როგორც კომბინატის ყოფილი ბუღალტერი იამზე სანადირაძე ამბობს, მათი არაერთი მცდელობის მიუხედავად, მაუდკომბინატის პრობლემით არც დღევანდელი ხელისუფლება დაინტერესებულა.

იამზე სანადირაძე:

— ჩვენ მოტყუებულები ვართ, ინვესტორი მაუდკომბინატში 1998 წელს შემოვიდა, როგორც ამბობდნენ, ეს იყო ბადრი პატარკაციშვილი. ამის შემდეგ ხელმძღვანელ პირად ინიშნება ვინმე ომარ თეთრაშვილი. მაუდკომბინატი იყო 51 მილიონიანი საწესდებო ფონდის. აქედან 51 პროცენტი ეკუთვნოდა მთავრობას და დანარჩენი 49 პროცენტი ეკუთვნოდა მაუდის კომბინატის აქციონერებს. ჩვენ ამის შესახებ წერილობით მივმართეთ შევარდნაძეს, სადაც ვითხოვდით, რომ სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული 51 პროცენტი კომბინატის თანამშრომლებს შეგვესყიდა და ჩვენივე ძალებით ავამუშავებდით კომბინატს, შევარდნაძისგან უარი მივიღეთ. საბოლოოდ სახელმწიფომ თავისი 51 მილიონიანი ქონება ჩვენი თანხმობის გარეშე 10 ათას დოლარად გაყიდა. კომბინატში სულ 2700 ადამიანი იყო დასაქმებული. იყო შეთანხმება, რომ დარგი უნდა შენარჩუნებულიყო, მაგრამ აგერ თქვენც ხედავთ, რომ არავინ არაფერი არ შეასრულა. ამ მაქინაციებში მთავრობაც არის ჩართული, თორემ აქამდე ამდენი წელია ვიბრძვით და სამართალს ვერ მივაღწიეთ. მანამ კომბინატი გაიყიდებოდა, მოვახდინეთ გადაიარაღება, ახალი დაზგა-დანადგარები შემოვიტანეთ, ეს ყველაფერი ჩვენი ძალებით შევიძინეთ, მთავრობა არაფერში არ დაგვხმარებია, როდესაც კომბინატი პატარკაციშვილმა იყიდა, დაიწყო დაზგა-დანადგარების მოხსნა, ამის შემდეგ ეს დანადგარები მოჭრეს და ჯართად გაყიდეს. იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ და ზევით ვინმეს ხმა მივაწვდინოთ, დაინტერესდნენ, სად წავიდა 51 მილიონიანი ქონება, ვინ შეჭამა, ეს ხომ ქვეყნის საკუთრება იყო. დღემდე ვიბრძვით, რომ სამართალს მივაღწიოთ, — ამბობს ქალბატონი იამზე.

მოკლედ, როგორც ვხედავთ, თორმეტწლიანი ბრძოლის შემდეგ შედეგი არ ჩანს. რაც შეეხება ქალბატონ იამზეს თხოვნას რაღაცით დავეხმაროთ, არა მგონია ჩვენს ხელთ არსებული მეთოდები ამ შემთხვევაში ეფექტური აღმოჩნდეს. დღეს პრიორიტეტი გაზეთების კითხვა კი არა, ელიტმეძავებით, მამათმავლებითა და დილეტანტებით გადაჭედილი ნაციონალური არხებით გაპიარებაა მომგებიანი, მაგრამ არა მგონია სააკაშვილმა იმ ტოტის მოჭრა გადაწყვიტოს, რომელზეც კარგა ხანია ზის. ასე რომ, 51 მილიონი იმ უიმედო ვალების სიაშია შესული, რომელიც წინა და დღევანდელმა მთავრობამ ჩაახრამუნა. ყოფილ მაუდკომბინატელებს კი ნუგეშად მხოლოდ მომავლის იმედი და დაზგების ხმაურს შერეული წარსულის ტკბილი მოგონებებიღა დარჩენიათ. რწმენა, იმედი ყოველთვის კარგია, აკი იოანეს სახარებაც გვეუბნება — ნეტარ არიან მორწმუნენიო.

ჩემო საყვარელო მარიკა!



გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ჯანმრთელობას და წარმატებას შენ შემოქმედებაში. დიდი მადლობა ყველაფრისათვის. ღმერთი იყოს შენი მფარველი! შენი ნანა

# პატრიარქმა 650 ბავშვი მონათლა

ეკა ირემაშვილი



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კიდევ 650 ბავშვი მონათლა.**

რიგით მე-17 საყოველთაო ნათლობა 15 მაისს სამების საპატრიარქო ტაძარში ჩატარდა. ნათლობის საიდუმლოს დასრულების შემდეგ მისმა უწმინდესობამ თავისი ნათლულები პირადად დალოცა.

ილია მეორეს უკვე 9 ათასამდე ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები არიან. საქართველოს პატრიარქმა გამოთქვა სურვილი, რომ ოჯახის თანხმობის შემთხვევაში, იგი მეოთხე შვილის ნათლიაც გახდება და მას ქართული ეკლესიის მცველის ტიტულს მიანიჭებს.

საქართველოს პატრიარქმა საყოველთაო ნათლობას საფუძველი 2008 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის გაუმჯობესების მიზნით ჩაუყარა. ბოლო, რიგით მე-16 საჯარო ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში 3 მარტს წმინდა შიო მღვიმელის ხსენებისა და დედის დღეს გაიმართა.

# თეატრალური კვირეული დაიწყო

ეკა ირემაშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ჩვენს დედაქალაქში თეატრალური კვირეული „ხელი ხელს“ დაიწყო. ღონისძიების პარტნიორობა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ითავა. ამ პროექტის ფარგლებში 24-ე და 42-ე სკოლის მოსწავლეებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა დაათვალიერეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუზეუმი და სპეციალურად მათთვის სპექტაკლის „პიგმალიონი“ ჩვენება გაიმართა.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა სულხან ჩარგეიშვილმა განაცხადა, პროგრამის მიზანია უნარშეზღუდულების საზოგადოებაში ინტეგრაცია. პროექტი, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ამერიკის განვითარების ფონდის „იუესაიდის“ მიერ ფინანსდება.

2010 წლის ივლისში დაიწყო 3 წლიანი სპეციალური პროგრამა, რომელსაც ამერიკის მთავრობა აფინანსებს. ქართულ სკოლებში სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

**სულხან ჩარგეიშვილი, კვირეულის ორგანიზატორი:**

— ჩვენი პროექტი სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების ფარგლებში ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მიერ.

***— რას მოიცავს თქვენი კვირეული?***

— ჩვენი პროექტი გულისხმობს ბენეფიციარებისათვის — შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის ინტეგრაციის ერთი თვის ორგანიზებას, რომელიც დასრულდება მრგვალი მაგიდით თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების პრობლემები და უფლებები“. ჩვენ გვინდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახლაგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი უფლებების შესახებ მოსწავლე-ახალგაზრდობის ინფორმირება.

# „ამირანით“ 4 ფილმი დაჯილდოვდება

ეკა ირემაშვილი

**17 მაისს თბილისში სტარტს აიღებს თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“, რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართება.**

წლევანდელ კინოფესტივალში 19 ქვეყნის სხვადასხვა კინოსკოლის სტუდენტური ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი. წელს საქართველოს სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც ესტუმრებიან — სომხეთიდან ნუნე მანუკიანი და აზერბაიჯანიდან ფეჰრუზ შამიევი. კომპეტენტური და საერთაშორისო ჟიური კი მათგან საუკეთესოებს შეარჩევს და დააჯილდოებს კიდეც.

ფესტივალის გახსნის საზეიმო საღამოზე ნაჩვენები იქნება დათო თაყაიშვილის სტუდენტური ანიმაციური ფილმი „ჭირი“, რომელიც კანის ფესტივალის 1984 წლის პრიზიორია. „ამირანის“ ეგიდით მოეწყობა „კინომუსიკის“ საღამო, რომელსაც კომპოზიტორი დათო ევგენიძე უხელმძღვანელებს.

წლევანდელი ფესტივალის სიახლე იმაშიც მდგომარეობს, რომ ის განახლებული სახით წარდგება საზოგადოების წინაშე — ახალი ლოგო და ანიმაცია — თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი ანიმატორების თეა ვაწაძისა და ნიკოლოზ გელაშვილის შემოქმედებაა.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია მასტერკლასები, პრეზენტაციები, არასაკონკურსო ფილმების ჩვენებები და წვეულებები. „ამირანის“ ეგიდით შედგება თელ-ავივის კინოსკოლის პრეზენტაცია, ჟან პერეს პროექტის „ჟან ჟაკ რუსო“ პრეზენტაცია, ანდრეა ვინკის მიერ „გოუ ისთ“-ის კინოფესტივალის პრეზენტაცია, ჩატარდება ბოგდან ძივორსკის მასტერკლასი, დოვერ ქოსაშვილის მასტერკლასი, ინეკე სმიტსი მასტერკლასი რეჟისურაში და საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან. საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის ეგიდით მოეწყობა სპეციალური ღონისძიება, რომელიც მომავალ კინოხელოვანებს პროექტების განვითარების მეთოდებს შეასწავლის.

რაც შეეხება ფილმებს, რომელიც წარმოდგენილი იქნება კინოფესტივალზე, უკვე ცნობილია, რომ მოეწყობა ჰოლანდიური პროგრამის ჩვენება, შედგება საკონკურსო კინოჩვენება, მხატვრული ფილმების პროგრამა, ანიმაცია, დოკუმენტური და ექსპერიმენტული ფილმების პროგრამა, ფრანსუა ოზონის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება და მიღება.

ყველა ღონისძიება თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება. ფესტივალის გახსნა-დახურვის ცერემონიაზე და აფთერ პარტიზე დასწრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსაწვევებით, ყველა სხვა ღონისძიებაზე დასწრება კი უფასო და თავისუფალია. თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ 20 მაისს დაიხურება, გამოვლინდებიან გამარჯვებულები, მოეწყობა წვეულება, ხოლო 21 მაისს ფესტივალის ფარგლებში არასაკონკურსო ჩვენებები შედგება.

**ჯაბა სიხარულიძე, ფესტივალის ორგანიზატორი:**

— სელექციის შედეგად, ფესტივალის ძირითად საკონკურსო პროგრამაში მოხვდა კინოსკოლების ნამუშევრები შემდეგი ქვეყნებიდან — აშშ, გერმანია, თურქეთი, უკრაინა, ესპანეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ლატვია, ბულგარეთი, ლიტვა, სომხეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სამხრეთ აფრიკა, ირანი, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი და საქართველო — ჯამში, 19 ქვეყნის სხვადასხვა კინოსკოლის სტუდენტური ნამუშევრებიდან გამოვლინდებიან გამარჯვებულები.

***— წელს რამდენი ფილმის დაჯილდოებას აპირებთ?***

— 2011 წლიდან „ამირანით“ მხოლოდ 4 ფილმი დაჯილდოვდება — საუკეთესო მხატვრული ფილმი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო ანიმაციური ან ექსპერიმენტული ფილმი და გაიცემა ჟიურის პრიზი. ამ ოთხი ნომინაციის გარდა, სპეციალური დიპლომებით აღინიშნებიან სტუდენტები იმ სპეციალობების მიხედვით, რომელსაც ეუფლებიან მსოფლიოს ყველა კინოსკოლაში — რეჟისურა, ოპერატორის ნამუშევარი, ხმა, მონტაჟი და სტუდენტ კრიტიკოსთა არჩევანი.

***— ვინ არიან ჟიურის წევრები?***

— წელს ფესტივალს საერთაშორისო ჟიური ჰყავს. მისი წევრები არიან ბოგდან ძივორსკი (პოლონეთი), ინეკე სმიტსი (ნიდერლანდები), დოვერ ქოსაშვილი (ისრაელი), ანდრეა ვინკი (გერმანია) და მარინა კერესელიძე (საქართველო). ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ჟიურის ყველა წევრი მასტერკლასს — პრეზენტაციას ჩაატარებს ან საინფორმაციო შეხვედრას გამართავს სტუდენტებთან.

***— როგორია „ამირანის“ საფესტივალო პროგრამა?***

— მთლიანობაში პროგრამა ძალიან დატვირთული და ამავე დროს საინტერესოა. 18 მაისს ფესტივალის სამუშაო დღე პოლონელი ბოგდან ძივორსკის მასტერკლასით დაიწყება. საღამოს კი ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით ცნობილი ფრანგი რეჟისორის, ფრანსუა ოზონის, როგორც ახალბედა რეჟისორის, ფილმების ჩვენება მოეწყობა და წვეულება გაიმართება. 19 მაისს ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით ჟიურის წევრი დოვერ ქოსაშვილი რეჟისურის მასტერკლასს ჩაატარებს და თავის ახალ ფილმს წარუდგენს ფესტივალის სტუმრებს, ხოლო თელ-ავივის უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის წარმომადგენელი ჰელენ იანოვსკი, თავისი კინოსკოლის სტუდენტების ფილმების პრეზენტაცია-ჩვენებას წარუძღვება. ჩვენს ფესტივალს უერთდება გოეთეს ინსტიტუტიც. 19 მაისს გოეთეს ინსტიტუტში ანდრეა ვინკი ფესტივალს „გოუ ისთ“ წარადგენს. ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა გერმანიის „ნექსტ გენერეიშან“ ფილმების პრეზენტაცია-ჩვენება, რომელსაც ახალგაზრდა გერანელი რეჟისორი ინგო ბირმანი წარუძღვება. 20 მაისს კი შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით ჟენევის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემიის კინოფაკუტეტის ხელმძღვანელი ჟან პერრე გამართავს ჟან ჟაკ რუსოსადმი მიძღვნილ საერთაშორისო პროექტის პრეზენტაციას, რომელშიც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

***— ამ ფესტივალში საქართველოს ეროვნული კინოცენტრი არ იქნება ჩართული?***

— რა თქმა უნდა. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, პირველად ფესტივალის არსებობის მანძილზე, შედგება სტუდენტური ურთიერთთანამშრომლობა. სელექციის შედეგად მსოფლიოს სხვა ქვეყნიდან ფესტივალზე მოწვეული 15 სტუდენტი, რამდენიმე შერეულ ჯგუფად ჩამოყალიბდება, რომელიც „ვან შოთ მოვის“ პრინციპით გადაიღებს ფილმებს — კო-პროდუქციას. შემდგომში, შესაძლებელი იქნება „ამირანის“ სახელით ამ ფილმების სხვადასხვა ფესტივალებზე გატანა, რაც ფესტივალს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს საერთაშორისო მასშტაბით.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საკურთხეველი აღები; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.
- გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე იური, შვილები სოსო, ივერი, ნანა ჯიქიები, ძმები ვალოდია, გივი, ტარიელი, დები ლენა, ნუცა ღვინჯილიები, რძლები ნანა ანჩაბაძე, ნინო მსხვილიძე, შვილიშვილები იუწყებიან

**ნათელა იულონის ასულ ღვინჯილია-ჯიქიას**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 17, 18 მაისს, 17 საათზე, კახეთის გზატკეცილი, კ.36 ვ, II სადარბაზო.
გამოსვენება: 19 მაისს, 15 საათზე, წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობით ეკლესიიდან (შანხაის დასახლება).

ლსუ მენეჯმენტის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ გელა წიკლაურს სიძის

**შოთა ბექაურის**

გარდაცვალების გამო.

ეკა ჩოხელი, ხათუნა ბარბაქაძე, გულნაზი მოსიაშვილი, ნინო მიქიაშვილი, თინა მელქოშვილი, თემურ ხომერიკი, სოლომონ ვარდიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გელა წიკლაურს სიძის

**შოთა ბექაურის**

გარდაცვალების გამო.

## ვეთხოვებით კლასელს ლიანა ლექავას!

აბაშის რაიონის ქოლობანის საშუალო სკოლის 1955/56 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები გემშვიდობებით და სასუფეველში დამკვიდრებას გისურვებთ.
იქ გელოდებიან ჩვენგან ადრე წასულები ჯიმშერ ახობაძე, ჯემალ სტურუა და ლერი მიქაძე.
ნათელში იყავი, ლია!

XI კლასის სახელით, ნუნუ მიქა ე

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, თემურ კალანდაძე, ვიტალი ხაზარაძე, საველ მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, ბესო კილასონია, ვანო ყულიჯანაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს გოგი ლიპარტელიანს მამის

**ასლან ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. ნაყიდი ან ნაჩუქარი მოახლე ქალი ძველად; 3. გეოდეზიური ხელსაწყო; 4. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 6. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 8. პრობლემური საერთაშორისო მოლაპარაკების ერთ-ერთი ეტაპი; 11. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 14. პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცესი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 16. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 17. აეროპორტი ტოკიოში; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 21. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 22. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

**თარაზულად:** 1. სამხედრო მოსამსახურის სრული აღჭურვილობა იარაღის გარეშე; 5. წყლის ნაპირებთან ბინადარი ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 7. პოემა „ალუდა ქეთელაურის" პერსონაჟი"; 9. თანამედროვე ქართველი მხატვარი ქალი; 10. არმიაში ახლად გაწვეული ჯარისკაცი; 12. მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 13. საწვავი სითხე; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 17. ბრიტანული ლუდხანა; 18. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. „ჩელსის" ფეხბურთელთა გუნდი; 22. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 23. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 24. მაღალი, სურნელოვანყვავილებიანი ფოთლოვანი ხე; 25. კვების გარკვეული რეჟიმი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კარამელი; 6. პარკეტი; 8. ვაიმარი; 10. რაისშინა; 11. ეტრატი; 13. კრიზისი; 16. კინეტიკა; 18. მარლა; 19. ელიტა; 21. მეტრია; 22. ინერტული; 23. ქანდარა.

**შვეულად:** 1. პარაზიტი; 2. მერია; 3. არმავარი; 4. პიკაპი; 7. არმია; 9. ეტაპი; 12. ესკალატორი; 14. მინორი; 15. ნელსონი; 17. კალანდა; 20. ქეთლი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არაბია; 2. რუპია; 3. მესალინა; 4. მთა; 5. მის; 6. მარკა; 7. აპკი; 8. ფრაუ; 9. ანკარა; 10. ვია; 11. კაბარე; 12. აპოხტი; 13. ბოა; 14. გინეა; 15. წაბლი; 16. წუა; 17. პასკვილი; 18. ლიხი; 19. ინა; 20. ლიე; 21. ფხა; 22. ანწლი; 23. მაღლარი; 24. პანამა; 25. ლა; 26. საზი; 27. ერა; 28. პენალტი; 29. მეგა; 30. ბურიმე; 31. ას; 32. ეპილოგი; 33. კარაბინი.

**სურათებზე:** ალისია სილვერსტოუნი; დავიდ ტრეზეგე.

# კონსტიტუციაში ისევ ცვლილებები შეაქვთ

**ნანა მიშელაშვილი**

პარლამენტი კიდევ ერთ საკონსტიტუციო ცვლილებას განიხილავს. ახალი ცვლილება პარლამენტის ადგილსამყოფელს შეეხება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტის ადგილსამყოფელი მხოლოდ ქუთაისი იქნება.

კონსტიტუციაში ახალი ცვლილებების ავტორი პრეზიდენტია. პროექტის თანახმად, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელად განისაზღვრება მხოლოდდამხოლოდ ქალაქი ქუთაისი.

კონსტიტუციაში ცვლილების პროექტი პარლამენტში გუშინ შევიდა. მასზე პარლამენტი მსჯელობას ცოტა ხანში შეუდგება. ჯერ კომიტეტებში, შემდეგ კი სესიაზე დეპუტატები ახალ ცვლილებას კენჭს უყრიან.

კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში ამჟამად წერია, რომ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტის ადგილი უნდა იყოს ქუთაისი და თბილისი. ახალი ცვლილებების თანახმად კი კონსტიტუციიდან თბილისი ამოღებული იქნება და პარლამენტის ადგილსამყოფლად მხოლოდ ქუთაისი დარჩება.

ამ მოწვევის პარლამენტი თბილისში დაასრულებს მუშაობას. არსებობს ასეთი კულუარული ინფორმაცია, რომ 2012 წლის 26 მაისს დეპუტატები ქუთაისში ჩავლენ და პირველ სიმბოლურ სხდომას ჩაატარებენ, ახალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი მთლიანად ქუთაისში გადაბარგდებიან.

თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, ზოგიერთი დეპუტატი ქუთაისში უკვე დაეძებს ბინებს. ამჟამად ქუთაისში ბინებზე ფასი ჯერ არ გაზრდილა, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ სამომავლოდ ფასმა მოიმატოს.

ამ ეტაპზე არც ერთი დეპუტატი არ აღიარებს, რომ ქუთაისში ბინა შეიძინა ან შეძენის სურვილი აქვს. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებას პოლიტიკოსები ერიდებიან იმ მოტივით, რომ შესაძლოა მომავალ პარლამენტში ვერ მოხვდნენ და ამაზე მედიამ კარგად იხალისოს. თუმცა, თუ პარლამენტში ვერ მოხვდებიან, არც ეს იქნება ტრაგედია, რადგან ქუთაისში ბინა მაინც შერჩებათ.




პარლამენტის ახალ შენობასთან ერთად ქუთაისში დეპუტატებს საცხოვრებელ შენობასაც აუშენებენ. ის დეპუტატები, რომლებსაც საკუთარი ბინა არ ექნებათ, ახალ საცხოვრებელში იცხოვრებენ. ასე რომ, ქუთაისში მომუშავე ჟურნალისტებს დეპუტატების პოვნა უფრო მარტივად შეეძლებათ, ვიდრე ახლა ხდება. თუ დეპუტატები პარლამენტის შენობაში არ იქნებიან, მათი ნახვა საერთო საცხოვრებელში იქნება შესაძლებელი.

თავის დროზე, როდესაც ქვეყნის მთავარ კანონში ქუთაისთან დაკავშირებით ჩანაწერი კეთდებოდა, ოპოზიცია ჩიოდა, რომ მათ წინ და უკან სიარული მოუწევდათ, რადგან კომიტეტების სხდომა თბილისში უნდა ჩატარებულიყო, ხოლო სესია — ქუთაისში. უმრავლესობის წევრები მაშინ ოპოზიციას ეუბნებოდნენ, რომ ქუთაისამდე საკმაოდ კარგი გზაა და აქეთ-იქით სიარული არ უნდა გასჭირვებოდათ, თანაც უმრავლესობა ქუთაისის, როგორც მეორე დედაქალაქის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს და მის განვითარებაზე საუბრობდა. ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, კონსტიტუციაში ქუთაისთან დაკავშირებული ჩანაწერი მაინც გაჩნდა, ახლა კი პარლამენტის ადგილსამყოფლად მთლიანად ქუთაისი განისაზღვრება.

ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ თბილისში არსებულ პარლამენტის შენობას გაყიდვას უპირებენ. პარლამენტის შენობის ბედით უკვე დაინტერესდნენ არაბი, ბერძენი და ჩინელი ინვესტორები. ისინი რამდენიმე თვის წინ პარლამენტის შენობაში იმყოფებოდნენ და მას საგულდაგულოდ ათვალიერებდნენ.

კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ეკონომიკის სამინისტრო პარლამენტის შენობას გასაყიდად ამზადებს და მისი საწყისი ფასი რამდენიმე ათეული მილიონი იქნება.

ვის დარჩება რუსთაველის გამზირზე არსებული პარლამენტის შენობა და, რა ფუნქციას შეიძენს მომავალში, ჯერ არავინ იცის. სანამ ახალი შენობა აშენებული არ არის, ძველის ბედზე არავინ საუბრობს.

გუშინ ბიუროს სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილებებზე ჯერ არ უმსჯელიათ. ბიუროზე სხვა საკითხებით იყვნენ დაკავებული. კერძოდ, პარლამენტს ამ კვირაში დიდი სტუმრიანობა ელის.

დავით ბაქრაძის განცხადებით, პარლამენტში მიმდინარე კვირა დაძაბული და საქმიანი იქნება. საქმიან კვირაში ბაქრაძემ ის იგულისხმა, რომ პარლამენტს ბევრი სტუმარი ეყოლება.

თბილისში დემოკრატიათა თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმი ჩატარდება. კონფერენციას მაღალი დონის სტუმრები, კერძოდ კი რამდენიმე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე დაესწრება. დელეგაციები ჩამოვლენ როგორც ამერიკის კონგრესიდან, ასევე ევროპარლამენტიდან. დავით ბაქრაძის თქმით, საქართველოს ესტუმრებიან სომხეთისა და უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარეები.

# რითი დააშინა ხელისუფლებამ დევნილები

დასაწყისი მე-7 გვერდზე

გაკეთდეს. ვთქვათ, ის, რომ ოთხი წლის წინ ხელისუფლებამ გააუქმა აფხაზეთის ტელევიზია და რადიო, რომელიც წარმოადგენდა ყველაზე მძლავრ საშუალებას დევნილების თვითორგანიზაციისთვის და დღემდე 12 ჟურნალისტი სასამართლოებში დავობს მათ უფლებებსა და ყველა დევნილის უფლებაზე, ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარ თავზე, ეს ფაქტიც ჯდება ამ კონტექსტში. ის, რომ დევნილებს ჰყავთ სრულიად უმოქმედო და უუნარო ხელისუფლება და ის არ წარმოადგენს მათი ნების გამომხატველ რამენაირ ორგანოს, ესეც ამ კონტექსტშია. ის, რომ დევნილებს ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, მათი წარმომადგენლების ადგილები საქართველოს პარლამენტში დიდი ხნის განმავლობაში არ არის, ესეც ამაზე მიუთითებს.

***— თვითონ აფხაზეთისთვის ადგილები კანონშიც არ არის გათვალისწინებული...***

— დიახ, თვითონ კანონშიც არ არის გათვალისწინებული ადგილები აფხაზეთის მოსახლეობისთვის. ზოგადად დამოკიდებულება ამ ადამიანებისადმი შეიძლება ამ ვარაუდის საშუალებას იძლეოდეს. კითხვაზე, რომელიც შეეხება აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებას, სამომავლოდ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პასუხები უნდა არსებობდეს. ვფიქრობ, დიდი ხნის წინ დადებული „პასუხი", რომელიც რუსეთიდან იყო მოწოდებული, ჩვენ არ გამოგვადგება. ვსაუბრობ ისევ რესპუბლიკელების კონცეფციაზე, რომელიც თავის დროზე შევარდნაძესთან ახლოს მდგომმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს. მათი დიდი ნაწილი დღეს ხელისუფლებაშიც არის. იმ კონცეფციაში რუსეთის ინტერესები სრულად იყო გათვალისწინებული, ანუ ეს იყოს აფხაზეთის საქართველოსაგან ხავერდოვანი ჩამოშორების გეგმა. კიდევ კარგი, ამ პროექტმა თავის დროზე, საზოგადოების აქტიური პროტესტის გამო, ვერ მოიპოვა მხარდაჭერა ხელისუფლებისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე შორსაა ხელისუფლება ამ გეგმის ამოქმედებისაგან.

***— თქვენ რაიმე სხვა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით, ვიდრე დღეს საზოგადოებამ იცის?***

— სხვა ინფორმაცია არ მაქვს. მე, უბრალოდ, ფაქტებზე დაკვირვებით ვაკეთებ ამ დასკვნებს, იმდენად, რამდენადაც სრულიად არაადეკვატურია ხელისუფლების დამოკიდებულება დევნილთა პრობლემატიკის მიმართ. დეკლარატიული განცხადებები, რომ აფხაზეთი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს და დევნილები აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ, საკმარისი არ არის. ვინც ნამდვილად უნდა დაბრუნდეს აფხაზეთში (ეს არის დევნილი მოსახლეობის უპირველესი უფლება, დაუბრუნდეს თავის სახლ-კარს), მათ მიმართ ხელისუფლება ასე არ იქცევა. საერთოდ, საქართველოს სინამდვილისადმი სრულიად წარმოუდგენელი მოვლენა მოხდა, როდესაც დევნილმა თავი დაიწვა. მე მოველოდი, რომ ამას სერიოზული რეაქცია მოჰყვებოდა. უპირველესად ყოვლისა, უნდა გადამდგარიყო ან გადაეყენებინათ დევნილთა და განსახლების მინისტრი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უბედურება მოხდა, არავითარი რეაგირება ამ ფაქტზე ხელისუფლებას არ მოუხდენია. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ხელისუფლებისთვის დევნილის სიცოცხლეს არავითარი ღირებულება არა აქვს. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც საჯაროდ გაკეთდა განცხადებები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, სადაც ასევე მკვეთრი შეფასებებია საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, საკმაოდ მკაცრია სახალხო დამცველის ანგარიში, რეაგირება არ ხდება, შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ დასმულა.

***— სუბელიანს პარლამენტში მადლობები გადაუხადეს...***

— ამიტომაცაა, რომ არც ერთ ნეგატიურ საკითხზე პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. არც ესაა გასაკვირი, რადგან ამ ხელისუფლების სტილში ასეთი მეთოდები არ არის. თუმცა, მსგავსი რეაგირება ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ევროპის სასამართლომ თავზარდამცემი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან არავითარი რეაგირება არ არის.

***— ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები ხელისუფლებისთვის რაიმე შემაკავებელ ფაქტორად არ იქცა? ქუჩაში ახალგაზრდებს აღარ ხვრეტენ.***

— რა თქმა უნდა, მსგავსი გადაწყვეტილებები და დასავლეთის შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და სერიოზულ შემაკავებელ ბერკეტს წარმოადგენს, ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა ძალაუფლება ბოროტად რომ არ გამოიყენონ, მაგრამ საზოგადოების, მოსარჩელეებისა და ადვოკატების აქტიურობა რომ არ ყოფილიყო, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნებოდა. ამიტომ ეს პროცესი ორმხრივია. საზოგადოება მხოლოდ იმის იმედად არ უნდა იყოს, დასავლეთი ამ ხელისუფლებას დარღვევებზე მიუთითებს თუ არა. თავად საზოგადოება უნდა იყოს ხელისუფლებისთვის შემაკავებელი ფაქტორი.

***— დევნილის თავის დაწვის ფაქტს საზოგადოების მხრიდან სერიოზული რეაქცია რატომ არ მოჰყვა? დევნილი საზოგადოება მაინც რატომ არ არის სოლიდარული ერთმანეთის მიმართ?***

— საზოგადოებაში ძალიან დიდი შიშია. ამიტომ ძალიან სერიოზული მოვლენების მიმართ არა მარტო დევნილთა, არამედ, ზოგადად, საზოგადოება პასიურია.

***— რისი ეშინიათ, დევნილ საზოგადოებას რაღა აქვთ დასაკარგი?***

— ხელისუფლებამ ძალიან სერიოზულად იმუშავა საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან მათი დაშინების მიზნით. მეორეც — ჩვენ გვყავს აბსოლუტურად უვარგისი ოპოზიცია, რომელიც ასევე დროის მოთხოვნებს ადეკვატურად ვერ პასუხობს. ამავე საკითხზე არის თემატური განცხადებები, რომლებიც ემთხვევა იმ პერიოდებს, როცა ხსენებული მოვლენები ხდება, მაგრამ დევნილთა საკითხს ოპოზიცია სისტემატიზებულად უპირველეს საკითხთა შორის არ სვამს. უფრო მეტიც, დევნილებს ძალიან ხშირად ესმით ოპოზიციისაგან (ე.წ. ოპოზიციური არხებიდანაც), თქვენ ხმა ხელისუფლებას მიეცით, ღირსნი ხართ, რაც მოგივიდათ, ხელისუფლებას პასუხი თქვენ თვითონ მოსთხოვეთო.

***— ისე, კაცმა არ იცის, დევნილებმა ხელისუფლებას ხმა მისცეს თუ გააყალბეს.***

— დიახ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მაინც დევნილებს საყვედურობენ.

***— ამ დროს თვითონ ოპოზიციას სჭირდება დევნილთა მხარდაჭერა, რადგან დევნილები დიდი მასაა, თუ მათ საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ?***

— რუსეთზე ორიენტირებული ოპოზიცია დევნილთა მხარდაჭერას ვერასოდეს მოიპოვებს.

***— დასავლეთზე ორიენტირებული ოპოზიცია დევნილთა მხარდაჭერას მოიპოვებს?***

— სამწუხაროდ, ოპოზიციის ძალიან დიდი სპექტრი ან ხელისუფლებაზეა ორიენტირებული, ან რუსეთზე. დასავლეთზე ისეთი ორიენტირებული ოპოზიცია, რომელიც ამ ორიენტაციის თვალსაზრისით ხელისუფლებას აჯობებს, არ მეგულება.

შედით საიტზე atb.ge

# ირბ გვაქებს: „თბილისი მზად არის“

**თბილისში გასამართი 20-წლამდე მოთამაშეთა მსოფლიო თასის „ალაფის" დაწყებამდე 10 დღეზე ნაკლები რჩება. გუნდებმა უკვე ჩამოწერეს ის 26-კაციანი შემადგენლობები, რომლებიც ჩემპიონობისათვის და, ამასთან, საგარეო, მსოფლიოს 12 საუკეთესო გუნდს შორის მოსახვედრად იბრძოლებენ.**

შერჩევა დაასრულა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმაც. ტრავმის გამო, მსოფლიო თასზე ვერ ითამაშებს გიორგი ჭყოიძე, რომელიც გუნდს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე კაპიტნობდა, რომლის მოგების შემდეგაც, საქართველოს მსოფლიო თასზე თამაშის, მოგვიანებით კი, მისი მასპინძლობის პატივი ხვდა წილად. განაცხადში 3 ლეგიონერია, დანარჩენები კი, ქართულ კლუბებს წარმოადგენენ.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) თავმჯდომარე ბერნარ ლაპასე, რომელიც თბილისს ტურნირის მსვლელობისას თავადაც ესტუმრება, საქართველოსაგან საუკეთესოდ ორგანიზებულ მსოფლიო თასს ელის. 24 მაისიდან 5 ივნისამდე გასამართ ალაფას, ირბ-ს ვებგვერდმა ვრცელი სტატია მიუძღვნა. მსოფლიო რაგბის მმართველები საორგანიზაციო სამუშაოებით კმაყოფილი არიან და ვარაუდობენ, რომ შეხვედრებს დიდი ოდენობით მაყურებელი დაესწრება.

— ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში ფანტასტიკური, აქამდე არნახული მსოფლიო თასის ალაფა იქნება. საქართველოში რაგბი უყვართ, ისინი ბედნიერები არიან, ამ ტურნირის მასპინძლობის უფლება რომ მიიღეს და მწამს, გუნდების საქომაგოდ შეხვედრებს უამრავი ადამიანი დაესწრება, — ამბობს ლაპასე.

რაგბის საერთაშორისო საბჭოში დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოში რაგბი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების გმირობამ, რომელიც 2003 წლიდან მოყოლებული ყველა მსოფლიო თასზე მონაწილეობს, ამ ქვეყანაში რაგბი სულ სხვა დონეზე აიყვანა. გასულ წელს გაცხადდა, რომ რაგბმა პოპულარულობით ფეხბურთს აჯობა და სახელმწიფო მაქსიმუმს აკეთებს, რათა ის ეროვნულ სპორტის სახეობად იქცეს. სახელმწიფო რაგბის უმთავრესი სპონსორია და მას გვერდში უდგას, რათა 2016 წელს საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვოს. ბოლო დროს, ქართული რაგბის განვითარებისთვის 6 მილიონი გირვანქა დაიხარჯა. იქ ჩასული სტუმრები იხილავენ ორ ბაზას, სადაც უკვე ხვეწენ ოსტატობას მსოფლიოს მომავალი ვარსკვლავები, — წერია ვებგვერდზე.

— ახლა ქართულ რაგბს მართლაც ძალიან კარგი პერიოდი უდგას. 2007 წლის მსოფლიო თასის შემდეგ, სპორტის ამ სახეობის მიმართ ინტერესი უპრეცედენტოდ გაიზარდა. მსოფლიო თასის ალაფა კიდევ უფრო დააჩქარებს რაგბის განვითარებას, — იქვე დასძენს ლაპასე.

მსოფლიო თასის ალაფაზე სხვადასხვა კონტინენტის 8 გუნდი ითამაშებს, რომლებიც ორ ქვეჯგუფად განაწილდნენ. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, პირველადგილოსნები თასისათვის ფინალში იბრძოლებენ, მეორეადგილოსნები მე-3-სთვის, ჯგუფის მესამეადგილოსნები მე-5-სთვის, ჯგუფის ნაბოლარები კი ბოლოსწინა ადგილს გაითამაშებენ.

კენჭისყრის შედეგად ა ჯგუფში, სამოას, აშშ-ს, ურუგვაისა და რუსეთის ნაკრებები განთავსდნენ, ხოლო ბ ჯგუფში, იაპონიის, საქართველოს, კანადისა და ზიმბაბვეს ნაკრებები ითამაშებენ. სპეციალისტების აზრით, ფავორიტები სამოას, აშშ-ს, საქართველოსა და იაპონიის ნაკრებები არიან, თუმცა, სიურპრიზების შეთავაზება სხვა გუნდებსაც შეუძლიათ. თბილისს ყველაზე ადრე იაპონიის ნაკრები ეწვევა (17-18-ში), ხოლო დანარჩენი გუნდები ჩამოსვლას 20 მაისიდან გეგმავენ.

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასის „ალაფისთვის“ მზადება რამდენიმე ეტაპად გაიარა და ქართულ კლუბებთან ამხანაგური მატჩების პარალელურად, ფრანგული „კლერმონის“ ახალგაზრდულ გუნდსაც გაეჯიბრა. ბოლო შეკრებაზე ნარიმანაშვილს გუნდი 10 მაისიდან ჰყავს.

პატარა „ბორჯღალოსნები“ ყველა შეხვედრას „ავჭალის“ სტადიონზე გამართავენ და მათი თამაშები 18:00 საათზე დაიწყება. მთლიანობაში, ყველა სათამაშო დღეს, „ავჭალაზე“ სამ-სამი თამაში გაიმართება, ხოლო „შევარდენზე“ — ერთი. ავჭალაში ბილეთის ფასი 5-15 ლარი იქნება, ხოლო „შევარდენზე“ მაყურებელს თამაშის ხილვა მუქთად შეეძლება.

საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია: ლევან ჩილაჩავა, კოტე მიქაუტაძე (ორივე ტულონი, საფრანგეთი), დავით ლოსაბერიძე (ბაიონი, საფრანგეთი), ზურაბ ერისთავი, ზურაბ ჟვანია, მერაბ მატკავა, ლევან თხელიძე, გიორგი აბრამიძე, ზურაბ ძნელაძე (ყველა აია), ზაზა ნავროზაშვილი, გიორგი ჟღენტი, ბახვა კობახიძე, ბექა ბიწაძე (ყველა არმია), ირაკლი ჩომახაშვილი, გიორგი მისრიაშვილი, ვანო გაბროშვილი (ყველა არმაზი), ხვიჩა ბუჯიაშვილი, გიგა გაგოშვილი (ორივე ლოკომოტივი), გიორგი ტყეშელიაძე, ლუკა კვარაცხელია (ყოჩები), გიგა თხილაიშვილი (ბათუმი), ჯიმი ლამბაშიძე, გოდერძი ჭინჭარაული, უჩა მჭედლიშვილი (ყველა ლელო), გიორგი მარგიანი (აკადემია), ლევან გაგოშვილი (ორივე აკადემია).

**შეხვედრათა განრიგი:**

**ა ჯგუფი: რუსეთი, სამოა, ურუგვაი, აშშ**

**24 მაისი:** სამოა-აშშ (ავჭალა, 14:00 საათი), რუსეთი-ურუგვაი (ავჭალა, 16:00)

**28 მაისი:** სამოა-ურუგვაი (შევარდენი, 14:00), რუსეთი-აშშ (ავჭალა, 16:00)

**1 ივნისი:** ურუგვაი-აშშ (ავჭალა. 14:00), სამოა-რუსეთი (ავჭალა. 16:00)

**ბ ჯგუფი: კანადა, საქართველო, იაპონია, ზიმბაბვე**

**24 მაისი:** იაპონია-ზიმბაბვე (შევარდენი, 14:00), საქართველო-კანადა (ავჭალა, 18:10)

**28 მაისი:** იაპონია-კანადა (ავჭალა, 14:00), საქართველო-ზიმბაბვე (ავჭალა, 18:00)

**1 ივნისი:** კანადა-ზიმბაბვე (შევარდენი. 14:00), საქართველო-იაპონია (ავჭალა. 18:00)

**5 ივნისი.** ფინალები

# ხავიერ ერნანდესი: „წინ კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი მელის“



როდესაც გასულ გაზაფხულზე „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მექსიკური „გვადალახარასგან“ 7 მილიონ გირვანქად 22 წლის ფორვარდი ხავიერ ერნანდესი შეიძინა, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ჩიჩარიტო“ „ოლდ ტრაფორდზე“ გამოსვლის პირველსავე წელს სერ ალექს ფერგიუსონის გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდებოდა. ინგლისურ კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ხავიერს ყოველთვიური ჯამაგირის სახით 20.000 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ მანჩესტერელები ფეხბურთელთან ახალ 4-წლიან ხელშეკრულებას რომ გააფორმებენ და ხელფასსაც საგრძნობლად გაუზრდიან.

გაზეთ „დეილი სტარის“ ინფორმაციით, ჩიჩარიტოს საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად 60.000 გირვანქა დაერიცხება. ამით წერტილი დაესვა სპეკულირებას იმის თაობაზე, ხავიერ ერნანდესის გადაბირება მადრიდის „რეალსა“ და „მილანს“ რომ სურთ. თავად ჩიჩარიტო მანჩესტერში თავს ბედნიერად გრძნობს და „იუნაიტედთან“ ერთად, მრავალი ტიტულის დაუფლებასაც აპირებს. ინგლისის ჩემპიონობის შემდეგ კი, ხავიერის სამიზნე ჩემპიონთა ლიგის თასია.

***— ელოდით, რომ ინგლისში გადმობარგების პირველსავე სეზონში ამგვარ წარმატებას მიაღწევდით?***

— ყველაზე თამამ ოცნებაშიც კი მიჭირდა იმის წარმოდგენა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონი გავხდებოდი. ეს განსაკუთრებით სასიხარულო იმ ფონზეა, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე. ჯერ კიდევ მიმდინარე პრემიერლიგაში, თანაგუნდელთაგან ჩემზე მეტი გოლი მხოლოდ დიმიტარ ბერბატოვმა გაიტანა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ფანტასტიკური გუნდის სრულუფლებიანი წევრი გავხდი.

***— გუნდს ჩემპიონობა უეინ რუნის მიერ რეალიზებულმა პენალტმა გაუნაღდა, თერთმეტმეტრიანი დარტყმა კი მას შემდეგ დაინიშნა, რაც ბლექბერნელთა გოლკიპერმა პოლ რობინსონმა, „როვერსის“ საჯარიმო მოედანზე თქვენ წაგაქციათ. თუმცა, გულშემატკივართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ვარდნა გააფორმეთ. აქაოდა, ბურთი მინდორს გარეთ გადიოდა და ჩიჩარიტო „საკუთარი ინიციატივით“ წამოედო რობინსონის ხელსო.***

— მატჩის არბიტრი ფილ დაუდი მომენტთან ახლოს იმყოფებოდა და ყველაფერი კარგად დაინახა. პირადად ჩემი კომენტარი თუ გაინტერესებთ, მან სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. კონტაქტი ნამდვილად იყო და აზრადაც არ გამივლია, რაიმე ზედმეტად გამეფორმებინა.

***— როდესაც უეინ რუნი საპენალტე ნიშნულთან მივიდა, დარწმუნებული იყავით, იგი ანგარიშს რომ გააყაიმებდა?***

— საპასუხიმგებლო მომენტებში უეინი ყოველთვის ზუსტად თამაშობს და ამჯერადაც ეჭვი არ შემპარვია, თერთმეტმეტრიანს სათანადოდ რომ გამოიყენებდა.

***— უპირველესად, რამ განაპირობა „მანჩესტერის“ მორიგი საჩემპიონო ტიტული?***

— თავდაუზოგავმა შრომამ. გასული ზაფხულიდან მოყოლებული, ვარჯიშებზე განსაკუთრებული მონდომებით ვირჯებოდით, რაც სეზონის მიწურულს მორიგი ტრიუმფით დაგვიფასდა.

***— პრემიერლიგის სტარტის წინ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ უმთავრეს კონკურენტად რომელი გუნდი მიგაჩნდათ?***

— ლონდონის „არსენალი“. მის რიგებში ხომ საკმარისზე მეტი უმაღლესი კლასის მოთამაშე ირიცხება. ჩემი აზრით, არსენ ვენგერის გუნდზე დამთრგუნველად „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგასა და „ბირმინგემ სიტისთან“ ინგლისის ლიგის თასზე განცდილმა მარცხებმა იმოქმედა. ამ მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფსიქოლოგიურად ყველაზე მდგრადი კოლექტივია. ეს „ჩელსისთან“ ლამის ფინალის ტოლფასმა საპრემიერლიგო პაექრობამაც დაადასტურა. ნერვიულობის ნატამალიც არ გვემჩნეოდა და დამაჯერებლად ვიმარჯვეთ.

***— ინგლისის ჩემპიონობის მოპოვებით, ერთგული გულშემატკივრები ძალიან კი გაახარეთ, მაგრამ ისინი თქვენგან 28 მაისს „უემბლიზე“ მხოლოდ მოგებასაც ელიან.***

— ორ კვირაში კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის და როდესაც საჩემპიონო ტიტულს ვზეიმობდით, მაშინაც კი „ბარსელონას“ წინააღმდეგ ჩასატარებელ ფინალზე ვფიქრობდით. ნებისმიერი ჩვენთაგანი დუბლზე ოცნებობს. ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩამდე, გაცილებით უფრო დიდი ინტენსივობით ვიმუშავებთ და თავს არ დავზოგავთ, ქომაგებს კიდევ ერთი დღესასწაული რომ ვაჩუქოთ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ჩელსი-ნიუკასლი | 2:2 |
| არსენალი-ასტონ ვილა | 1:2 |
| ლივერპული-ტოტენჰემი | 0:2 |
| ბირმინგემი-ფულემი | 0:2 |
| უიგანი-ვესტ ჰემი | 3:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 37 | 22 | 11 | 4 | 74:35 | 77 |
| 2.ჩელსი | 37 | 21 | 8 | 8 | 69:32 | 71 |
| 3.არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 70:41 | 67 |
| 4.სიტი | 37 | 19 | 8 | 9 | 55:33 | 65 |
| 5.ტოტენჰემი | 37 | 15 | 14 | 8 | 53:45 | 59 |
| 6.ლივერპული | 37 | 17 | 7 | 13 | 59:43 | 58 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ფულემი | 37 | 11 | 15 | 11 | 48:41 | 48 |
| 9.სტოკი | 36 | 13 | 7 | 16 | 46:44 | 46 |
| 10.ბოლტონი | 37 | 12 | 10 | 15 | 52:54 | 46 |
| 11.ვესტ ბრომ. | 37 | 12 | 10 | 15 | 53:68 | 46 |
| 12.ნიუკასლი | 37 | 11 | 12 | 14 | 53:54 | 45 |
| 13.ას. ვილა | 37 | 11 | 12 | 14 | 47:59 | 45 |
| 14.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 42:56 | 44 |
| 15.ბლექბერნი | 37 | 10 | 10 | 17 | 43:57 | 40 |
| 16.ვულვზი | 37 | 11 | 7 | 19 | 44:63 | 40 |
| 17.ბირმინგემი | 37 | 8 | 15 | 14 | 36:56 | 39 |
| 18.ბლექპული | 37 | 10 | 9 | 18 | 53:74 | 39 |
| 19.უიგანი | 37 | 8 | 15 | 14 | 39:61 | 39 |
| 20.ვესტ ჰემი | 37 | 7 | 12 | 18 | 43:67 | 33 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ფიორენტინა-ბოლონია | 1:1 |
| ბარი-ლეჩე | 0:2 |
| კატანია-რომა | 2:1 |
| კიევო-უდინეზე | 0:2 |
| პარმა-იუვენტუსი | 1:0 |
| სამპდორია-პალერმო | 1:2 |
| ჩეზენა-ბრეშა | 1:0 |
| ნაპოლი-ინტერი | 1:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 37 | 24 | 9 | 4 | 65:24 | 81 |
| 2.ინტერი | 37 | 22 | 7 | 8 | 66:41 | 73 |
| 3.ნაპოლი | 37 | 21 | 6 | 10 | 57:37 | 69 |
| 4.უდინეზე | 37 | 20 | 5 | 13 | 65:43 | 65 |
| 5.ლაციო | 37 | 19 | 6 | 12 | 51:37 | 63 |
| 6.რომა | 37 | 17 | 9 | 11 | 56:51 | 60 |
| 7.იუვენტუსი | 37 | 15 | 12 | 10 | 55:45 | 57 |
| 8.პალერმო | 37 | 17 | 5 | 15 | 57:60 | 56 |
| 9.ფიორენტინა | 37 | 12 | 14 | 11 | 47:42 | 50 |
| 10.ჯენოა | 37 | 13 | 9 | 15 | 42:45 | 48 |
| 11.კატანია | 37 | 12 | 10 | 15 | 39:49 | 46 |
| 12.პარმა | 37 | 11 | 12 | 14 | 38:46 | 45 |
| 13.კალიარი | 37 | 12 | 8 | 17 | 43:50 | 44 |
| 14.კიევო | 37 | 10 | 13 | 14 | 35:39 | 43 |
| 15.ჩეზენა | 37 | 10 | 8 | 16 | 36:47 | 43 |
| 16.ბოლონია | 37 | 11 | 12 | 14 | 35:48 | 42 |
| 17.ლეჩე | 37 | 11 | 8 | 18 | 44:62 | 41 |
| 18.სამპდორია | 37 | 8 | 12 | 17 | 32:46 | 36 |
| 19.ბრეშა | 37 | 7 | 10 | 20 | 32:50 | 31 |
| 20.ბარი | 37 | 4 | 9 | 24 | 23:56 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| გროსეტო-რეჯინა | 0:1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-მალიორკა | 3:1 |
| ვილიარეალი-რეალი | 1:3 |
| ხეტაფე-ოსასუნა | 2:0 |
| სევილია-სოსიედადი | 3:1 |
| სარაგოსა-ესპანიოლი | 1:0 |
| ვალენსია-ლევანტე | 0:0 |
| ბარსელონა-დეპორტივო | 0:0 |
| ბილბაო-მალაგა | 1:1 |
| ხიხონი-რასინგი | 2:1 |
| ატლეტიკო-ერკულესი | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 37 | 29 | 6 | 2 | 92:20 | 93 |
| 2.რეალი | 37 | 28 | 5 | 4 | 94:32 | 89 |
| 3.ვალენსია | 37 | 20 | 8 | 9 | 62:44 | 68 |
| 4.ვილიარეალი | 37 | 18 | 8 | 11 | 54:43 | 62 |
| 5.ატლეტიკო | 37 | 16 | 7 | 14 | 58:50 | 55 |
| 6.ბილბაო | 37 | 17 | 4 | 16 | 57:54 | 55 |
| 7.სევილია | 37 | 16 | 7 | 14 | 59:59 | 55 |
| 8.ესპანიოლი | 37 | 15 | 4 | 18 | 44:52 | 49 |
| 9.ხიხონი | 37 | 10 | 13 | 13 | 35:42 | 46 |
| 10.მალაგა | 37 | 13 | 7 | 17 | 53:65 | 46 |
| 11.რასინგი | 37 | 12 | 10 | 15 | 40:54 | 46 |
| 12.ლევანტე | 37 | 12 | 9 | 16 | 40:50 | 45 |
| 13.ოსასუნა | 37 | 12 | 8 | 17 | 44:46 | 44 |
| 14.მალიორკა | 37 | 12 | 8 | 17 | 38:52 | 44 |
| 15.სოსიედადი | 37 | 14 | 2 | 22 | 48:65 | 44 |
| 16.ხეტაფე | 37 | 12 | 7 | 18 | 48:59 | 43 |
| 17.დეპორტივო | 37 | 10 | 13 | 14 | 31:45 | 43 |
| 18.სარაგოსა | 37 | 11 | 9 | 17 | 38:52 | 42 |
| 19.ერკულესი | 37 | 9 | 7 | 21 | 36:60 | 34 |
| 20.ალმერია | 37 | 6 | 12 | 19 | 35:62 | 30 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტარაგონა-ბეტისი | 3:1 |
| ალკორკონი-გრანადა | 2:0 |
| ბარსელონა ბ-ლას პალმასი | 3:5 |
| კარტახენა-ხირონა | 1:0 |
| უესკა-უელვა | 1:1 |
| ხერესი-სალამანკა | 2:0 |
| სელტა-რაიო | 0:0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალემანია-არმინია | 1:1 |
| ბოხუმი-დუისბურგი | 3:1 |
| ჰერტა-აუგსბურგი | 2:1 |

*ჰერტას მეორე გოლი ლევან კობიაშვილმა გაიტანა*

| | |
|---|---|
| ფიურტი-ფორტუნა | 1:1 |
| ინგოლშტადი-ოსნაბრიუკი | 0:1 |
| კარლსრუე-უნიონი | 3:2 |
| კოტბუსი-ობერჰაუზენი | 3:1 |
| პადერბორნი-მიუნხენ 1860 | 3:2 |
| ფრანკფურტი-აუე | 0:2 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| არლე-ტულუზა | 1:0 |
| ვალანსიენი-ოსერი | 1:1 |
| კაენი-მონპელიე | 2:0 |
| მონაკო-ლანსი | 1:1 |
| ნანსი-ნიცა | 3:0 |
| სენტ ეტიენი-რენი | 1:2 |
| ლორიენი-მარსელი | 2:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 35 | 19 | 12 | 4 | 62:32 | 69 |
| 2.მარსელი | 36 | 18 | 12 | 6 | 58:35 | 66 |
| 3.ლიონი | 35 | 16 | 11 | 8 | 58:39 | 59 |
| 4.პსჟ | 35 | 15 | 13 | 7 | 53:37 | 58 |
| 5.რენი | 36 | 15 | 11 | 10 | 36:30 | 56 |
| 6.სოშო | 35 | 15 | 7 | 13 | 55:40 | 52 |
| 7.ლორიანი | 36 | 12 | 13 | 11 | 45:44 | 49 |
| 8.სტ.ეტიენი | 36 | 12 | 12 | 12 | 44:44 | 48 |
| 9.მონპელიე | 36 | 12 | 11 | 13 | 32:40 | 47 |
| 10.ოსერი | 36 | 9 | 19 | 8 | 43:39 | 46 |
| 11.ბორდო | 35 | 10 | 15 | 10 | 40:40 | 45 |
| 12.ვალანსიენი | 36 | 9 | 17 | 10 | 41:38 | 44 |
| 13.ტულუზა | 36 | 12 | 8 | 16 | 34:36 | 44 |
| 14.კაენი | 36 | 11 | 11 | 14 | 44:49 | 44 |
| 15.ნიცა | 36 | 10 | 13 | 13 | 30:46 | 43 |
| 16.ბრესტი | 35 | 10 | 12 | 13 | 34:40 | 42 |
| 17.ნანსი | 36 | 11 | 9 | 16 | 37:48 | 42 |
| 18.მონაკო | 36 | 8 | 17 | 11 | 35:38 | 41 |
| 19.ლანსი | 36 | 7 | 14 | 15 | 35:53 | 35 |
| 20.არლე | 36 | 2 | 11 | 23 | 19:67 | 17 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაქსი-ტვენტე | 3:1 |
| ტილბურგი-ბრედა | 0:1 |
| ვიტესი-ექსელსიორი | 1:4 |
| გრონინგენი-პსვ | 0:0 |
| გრააფსხაპი-ვენლო | 1:0 |
| როდა-ჰერენვენი | 0:0 |
| უტრეხტი-ალკმაარი | 5:1 |
| ფეინოორდი-ნაიმეგენი | 1:1 |
| ერაკლესი-დენ ჰააგი | 3:0 |

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 34 | 22 | 7 | 5 | 72:30 | 73 |
| 2.ტვენტე | 34 | 21 | 8 | 5 | 65:34 | 71 |
| 3.პსვ | 34 | 20 | 9 | 5 | 79:34 | 69 |
| 4.ალკმაარი | 34 | 17 | 8 | 9 | 55:44 | 59 |
| 5.გრონინგენი | 34 | 17 | 6 | 11 | 65:52 | 57 |
| 6.როდა | 34 | 14 | 13 | 7 | 65:50 | 55 |
| 7.დენ ჰააგი | 34 | 16 | 6 | 12 | 63:55 | 54 |
| 8.ერაკლესი | 34 | 14 | 7 | 13 | 65:56 | 49 |
| 9.უტრეხტი | 34 | 13 | 8 | 13 | 55:51 | 47 |
| 10.ფეინოორდი | 34 | 12 | 8 | 14 | 53:54 | 44 |
| 11.ნაიმეგენი | 34 | 10 | 13 | 11 | 57:56 | 43 |
| 12.ჰერენვენი | 34 | 10 | 11 | 13 | 60:54 | 41 |
| 13.ბრედა | 34 | 12 | 5 | 17 | 44:60 | 40 |
| 14.გრააფსხაპი | 34 | 9 | 11 | 14 | 31:56 | 38 |
| 15.ვიტესი | 34 | 9 | 8 | 17 | 42:61 | 35 |
| 16.ექსელსიორი | 34 | 10 | 5 | 19 | 45:66 | 35 |
| 17.ვენლო | 34 | 6 | 3 | 25 | 34:76 | 21 |
| 18.ტილბურგი | 34 | 3 | 6 | 25 | 37:98 | 15 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

# თბილისში გერმანული დღეები ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

21 მაისის ჩათვლით საქართველოს დედაქალაქი გერმანულ დღეებს უმასპინძლებს. კვირეულის ფარგლებში გერმანიის საელჩო საქართველოსა და თბილისში არსებული ყველა გერმანული ორგანიზაცია წარმოადგენს გერმანულ-ქართული ურთიერთობების ფართო სპექტრს, მათ შორის ნახატების გამოფენას, ეკონომიკის დღეს, განათლების სფეროს გამოფენას, განვითარების სფეროში თანამშრომლობის ღონისძიებებს, ღონისძიებებს სკოლებში და გრადიოზულ დამაგვირგვინებელ ზეიმს გოეთეს ინსტიტუტში.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „XIX-XX საუკუნის გერმანელი მხატვრები საქართველოში — საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია". ექსპოზიცია ბერლინის კედლის აშენების 50 წელს მიეძღვნა. კვირეულის ეგიდით ჩატარდება კონკურსი-ვიქტორინა გერმანული დღეების შესახებ. სპეციალურ გვერდზე გამოქვეყნებულია შეკითხვები გერმანიის, საქართველოსა და გერმანია-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, გამარჯვებულები პრიზებით — ნეთბუქითა და გოეთეს ინსტიტუტში გერმანული ენის ერთი უფასო კურსით დაჯილდოვდებიან. საუკეთესოებს გერმანიის ელჩი 21 მაისს გოეთეს ინსტიტუტში გადასცემს.

17 მაისს სამეფო უბნის თეატრში გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით გერმანიის დღეების კვირეულის ფარგლებში ფლეიტისტი ქალბატონების კვარტეტის „ნიუ ჯენერეიშონ" კონცერტი გაიმართება. მანამდე კი 16 მაისს მუსიკოსები ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტუდენტებისთვის ვორკშოპს ჩაატარებენ.

„ფანტაზია სიმეტრიაში" — ასეთია კონცერტის სახელწოდება, რომელიც „თბილისში გერმანული დღეების" ფარგლებში ეწყობა და მისი ორგანიზატორი გერმანიის საელჩო საქართველოში და გოეთეს ინსტიტუტია. ნებისმიერ მსურველს კონცერტზე დასწრება თავისუფალად შეეძლება.

ოთხი ახალგაზრდა ფლეიტისტი ქალბატონი სამეფო უბნის თეატრში მისულ საზოგადოებას შესთავაზებს როგორც ახალი, ისე ძველი მუსიკის სპექტრს, რომელიც გასწვრივი ფლეიტის რეპერტუარში მოიპოვება. გასწვრივი ფლეიტის შესაძლებლობების ბოლომდე ამოსაწურად კვარტეტი ხშირად მიმართავს ექსპერიმენტებს. მათ მრავალრიცხოვან ინსტრუმენტებს შორის მოიპოვება როგორც თანამედროვე ბას-ფლეიტები, ისე რენესანსისა და ბაროკოს პერიოდის ისტორიული საკრავების მიხედვით აწყობილი ფლეიტები. ამ ინსტრუმენტების საშუალებით კვარტეტის კონცერტი მეტად მრავალფეროვანი და ახლებური ჟღერადობით გამოირჩევა. ფლეიტისტთა კვარტეტმა თავისი ორიგინალური ინტერპრეტაციებით, ახლებური დაკვრის მანერითა და ვირტუოზულობით არა მარტო თავისი მსმენელი მოაჯადოვა, არამედ სხვადასხვა კონკურსის ჟიურის წევრებისა და კომპოზიტორების აღფრთოვანებაც დაიმსახურა. კვარტეტს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. მათ შორის გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აშშ-ში მოპოვებულ გამარჯვებას გერმანული კვარტეტისათვის ნიუ-იორკში მენეჯმენტის ხელშეკრულება მოჰყვა.

თბილისში დაგეგმილ კონცერტზე შესრულდება კალდინის, ფრესკობალდის, ბლეხარცის, ჰენდელის, ჩაილდსის, ბახის, მორავეკის ნაწარმოებები. თბილისის გარდა, კვარტეტს დაგეგმილი აქვს კონცერტები ერევანსა და ბაქოშიც, სადაც მათ გერმანიის საელჩოები უმასპინძლებენ.

განვითარების სფეროში თანამშრომლობის დღის ფარგლებში გერმანიის კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება გერმანიის მოღვაწეობა ამ სფეროში, ხოლო 18 მაისს უკვე აქცენტი გაკეთდება გერმანულ ენასა და გერმანულ-ქართულ ურთიერთობებზე უმაღლესი სასწავლებლების დონეზე. 19 მაისი ეკონომიკას დაეთმობა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად გერმანიის ელჩი გახსნის გამოფენას „ექსპო გერმანია" — ეკონომიკის დარგში გერმანია-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. მოეწყობა გერმანული ლუდისა და კერძების წარდგენა და საღამოს ლიტერატურის მუზეუმში გერმანულ-ქართული პოეზიის საღამო ჩატარდება.

განათლების სფეროს გამოფენა 20 მაისს მოეწყობა. მასში წარმოდგენილი იქნება გერმანიის მოღვაწეობა საქართველოს განათლების სფეროში. კვირეულზე დამსწრე საზოგადოება მიიღებს ბევრ ინფორმაციას სკოლებისა და უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობის, გერმანიაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების შესახებ.

სპორტი

## ფიფა ფეხბურთის წესებს ცვლის

ფიფა ბრაზილიაში გასამართი 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თამაშის წესებში ცვლილებებს გეგმავს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, გამარტივდება თამაშგარეს წესი, შესაძლებელი გახდება მეოთხე ცვლილების გაკეთება და დამონტაჟდება კარის აღების ავტომატურად ფიქსატორი სისტემა.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის პირველი სხდომა 10 მაისს გაიმართა და მას ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად კი მიუნხენის "ბაიერნის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი და ლეგენდარული ბრაზილიელი პელე უძღვებოდნენ. კომიტეტმა ფიფას თამაშგარეს წესის გამარტივება შესთავაზა, რომლის თანახმად, ის არ უნდა დაფიქსირდეს მაშინ, როდესაც თავდამსხმელი და მცველი მხარდამხარ არიან. ანუ, როდესაც მათ შორის ფიზიკური კონტაქტია. ხშირად იქმნება საკამათო სიტუაციები, როდესაც თამაშგარეში შეტევაში მყოფი გუნდის ფეხბურთელის სხეულის ნაწილი აღმოჩნდება ხოლმე.

ფიფა უკვე დიდი ხანია, რაც მსაჯებს თამაშგარე მდგომარეობის განსჯას შეტევაში მყოფი ფეხბურთელის სასარგებლოდ ურჩევს, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოედანზე ყველაფერი საპირისპიროდ ხდება.

კომიტეტის წევრებმა ფიფას ე.წ. სამმაგი დასჯის წესის შემსუბუქება ურჩიეს. საუბარია იმ შემთხვევაზე, როდაც საკუთარ საჯარიმოში წესის დამრღვევი გუნდი პენალტით, წითელი ბარათითა და "დამნაშავე" მოთამაშის მომდევნო მატჩისთვის ავტომატური დისკვალიფიკაციით ისჯება. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ჯობს ასეთ დროს ფეხბურთელი ყვითელი ბარათით დაისაჯოს და დაინიშნოს პენალტი, წითელი ბარათის გამოყენება კი მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში მოხდეს.

ცვლილებებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას 1 ივნისს, ფიფას მსოფლიო კონგრესზე მიიღებენ, რომელიც ციურიხში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნებია დანიშნული, რომელშიც ერთმანეთს ამჟამინდელი ხელმძღვანელი იოზეფ ბლატერი და აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი მოჰამედ ბენ ჰამამი უპირისპირდებიან.

## ჯოკოვიჩს ვეღარ აჩერებენ

რომის ტურნირის ფინალში, სადღეისოდ პლანეტის ორი უძლიერესი ჩოგბურთელი, რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი გავიდნენ. მიმდინარე წელს მათ მეოთხე ფინალურ ჯახს სპორტული სამყარო მოუთმენლად ელოდა.

გადამწყვეტი მატჩის დაწყებამდე, მოწინააღმდეგეები ერთმანეთს აქებდნენ. ჯოკოვიჩი აცხადებდა, რაფა ფიზიკურად ყველაზე მძლავრი მოთამაშეაო, ხოლო ნადალი რეპორტიორებს დანანებით გამოუტყდა, ნოვაკმა წინა სამი ფინალი მომიგო და ამიტომ, არაა გასაკვირი, „მარადიულ ქალაქში" ამჯერად ფავორიტი რომ არ ვარო.

ფინალმა მოლოდინი გაამართლა. ორი საათისა და 12 წუთის განმავლობაში, ჯოკოვიჩმა და ნადალმა მაყურებელს უმაღლესი კლასის ჩოგბურთი აჩვენეს. მართალია, სერბმა ორ სეტში მოახერხა მალიორკელის ძლევა, მაგრამ ნადალი ბოლომდე უდიდეს წინააღმდეგობას უწევდა ჯოკოვიჩს.

ჯოკოვიჩმა 2011 წელს მეოთხე გადამწყვეტი მატჩი მოუგო ნადალს, საერთოდ მიმდინარე სეზონში ჯერ მარცხი არ განუცდია და ზედიზედ მოგებულ მატჩთა რაოდენობა 39-მდე გაზარდა.

## ნინო ანანიაშვილი იაპონიისთვის იცეკვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხელმწიფო თეატრისა და რუსთაველის თეატრის მხარდაჭერით. საკონცერტო პროგრამაშია პუჩინის „მადამ ბატერფლაი" (ნაწყვეტები ოპერიდან), რომელსაც შეასრულებს ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი — სოლისტები მაყვალა ასპანიძე, ირაკლი კახიძე, დირიჟორი — ჯანლუკა მარჩიანო. ასევე წარმოდგენილი იქნება ეტოს, იამაგუჩის, ტოშას ერთმოქმედებიანი ბალეტი „სიზმრები იაპონიაზე". მასში მონაწილეობას მიიღებენ ნინო ანანიაშვილი, ლალი კანდელაკი, ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი, დავით ანანიაშვილი, ფილიპ სოლანო. სპეციალურად ამ დღისთვის თბილისს ეწვევა დასარტყამი ინსტრუმენტების ანსამბლი მოსკოვიდან, რომელსაც მარკ პეკარსკი ხელმძღვანელობს.

როგორც რუსთაველის თეატრში „ახალ თაობას" განუცხადეს, ბილეთები სალაროში ჯერჯერობით შეტანილი არ არის, ამიტომ რა დაუჯდებათ ბალეტისა და საოპერო ჟანრის მოყვარულ საზოგადოებას ამ საღამოზე დასწრება, უცნობია.

## გაბაშვილი აშშ-ს საქართველოს მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის



საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აშშ-ს საქართველოს მხარდაჭერის გამო მადლობას უხდიან. მადლიერება უმრავლესობის წევრმა გიორგი გაბაშვილმა „ქართული პარტიის" საპროტესტო აქციის შეფასებისას ჟურნალისტებთან საუბარში გამოხატა.

მისი განცხადებით, აშშ საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეა, რომელიც მას წლების განმავლობაში ყველა ფორმით უდგას მხარში.

— ეს არის პოლიტიკური, ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური და ყველა სხვა საკითხში მხარდაჭერა, რომელიც ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიით არის გამყარებული. თუმცა საქართველო აშშ-ის მხარდაჭერას ამ ქარტიის გაფორმებამდე, 2009 წლამდე, ბევრად უფრო ადრე დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან გრძნობდა, — აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა.

მისი თქმით, იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს თავისუფალი და დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

მედიანიუსი

## შედეგები

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-დინამო ... 0:0
ზენიტი-რუბინი ... 2:2
კრ.სოვეტოვი-სპარტაკი ... 0:1
ცსკა-როსტოვი ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტ. | 9 | 5 | 2 | 2 | 16:8 | 17 |
| 2.ყუბანი | 9 | 5 | 1 | 3 | 10:7 | 16 |
| 3.ზენიტი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 16 |
| 4.ანჟი | 9 | 4 | 4 | 1 | 8:6 | 16 |
| 5.ცსკა | 8 | 4 | 3 | 1 | 14:6 | 15 |
| 6.რუბინი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:9 | 13 |
| 7.დინამო | 9 | 3 | 4 | 2 | 13:13 | 13 |
| 8.სპარტაკი | 9 | 4 | 1 | 4 | 7:11 | 13 |
| 9.კრასნოდარი | 9 | 2 | 5 | 2 | 8:9 | 11 |
| 10.ვოლგა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:8 | 10 |
| 11.ტომი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:11 | 10 |
| 12.ამკარი | 9 | 2 | 3 | 4 | 7:11 | 9 |
| 13.როსტოვი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:12 | 8 |
| 14.ტერეკი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:10 | 8 |
| 15.ნალჩიკი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:11 | 7 |
| 16.კრ.სოვეტ. | 8 | 1 | 4 | 3 | 5:9 | 7 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-ჰართსი ... 2:1
კილმანროკი-რეინჯერსი ... 1:5
სელტიკი-მოზერველი ... 4:0

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 38 | 30 | 3 | 5 | 88:29 | 93 |
| 2.სელტიკი | 38 | 29 | 5 | 4 | 85:22 | 92 |
| 3.ჰართსი | 38 | 18 | 9 | 11 | 53:45 | 63 |
| 4.დანდი | 38 | 17 | 10 | 11 | 55:50 | 61 |
| 5.კილმანროკი | 38 | 13 | 10 | 15 | 53:55 | 49 |
| 6.მოზერველი | 38 | 13 | 7 | 18 | 40:60 | 46 |
| ----------------------------- | | | | | | |
| 7.ინვერნესი | 38 | 14 | 11 | 13 | 52:44 | 53 |
| 8.სტ.ჯონსონი | 38 | 11 | 11 | 16 | 23:43 | 44 |
| 9.ჰიბერნიანი | 38 | 10 | 7 | 21 | 39:61 | 37 |
| 10.აბერდინი | 38 | 11 | 5 | 22 | 39:59 | 38 |
| 11.სტ.მირენი | 38 | 8 | 9 | 21 | 33:57 | 33 |
| 12.ჰამილტონი | 38 | 4 | 11 | 22 | 24:59 | 26 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-ზალცბურგი ... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ... 5:1
გრასჰოპერსი-ციურიხი ... 3:1
იანგ ბოიზი-სიონი ... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

**პლეი-ოფი**

აეკი-პაოკი ... 3:0
ოლიმპიაკოსი(ვ)-პანათინაიკოსი ... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ბურსა ... 0:3
ქაისერი-გაზიანთეპი ... 1:2
ტრაბზონი-ისტამბული ... 3:1
ფენერბახჩე-ანკარაგიუჯიუ ... 6:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბოლესლავი-იაბლონეცი ... 1:2
სიგმა-ჰრადეც კრალოვე ... 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-კრაკოვია ... 1:0
ვიძევი-ზაგლებიე ... 2:1

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

დინამო-ობოლონი ... 5:1
დნიპრო-არსენალი ... 1:0
კრივბასი-ზარია ... 0:2
მეტალისტი-ილიჩევეცი ... 3:0
მეტალურგი(დ)-კარპატი ... 4:1
მეტალურგი(ზ)-სევასტოპოლი ... 1:0
ტავრია-ობოლონი ... 3:1

**დანია. სასლიგა**

სონდერიისკე-ლუნგბიუ ... 1:0
ნორდსიელანდი-სილკებორგი ... 3:2
ესბიერგი-ოლბორგი ... 0:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-დიურგარდენი ... 0:0
მალმიო-იორებრო ... 2:1
გაისი-სირიანსკა ... 1:0
ნორჩიოპინგი-გიოტებორგი ... 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ჰიკი ... 0:2
ჰონკა-როვანიემი ... 1:0
იარო-კუუპიო ... 1:1

**აშშ. მლს**

ტორონტო-ჩიკაგო ... 2:2
ვაშინგტონი-კოლორადო ... 1:1
ნიუ ინგლენდი-ვანკუვერი ... 1:0
დალასი-ფილადელფია ... 2:0
სოლტ ლეიკი-ჰიუსტონი ... 0:0
ლოს ანჯელესი-კანზასი ... 4:1
სან ხოსე-კოლამბუსი ... 3:0
სიეტლი-პორტლენდი ... 1:1
რედ ბული-ჩივასი ... 2:3

**არგენტინა. კლაუსურა**

ესტუდიანტესი-ტიგრე ... 2:2
ბოკა-რივერ პლეიტი ... 2:0
ოლიმპო-ინდეპენდიენტე ... 1:2
ლანუსი-ველეჟი ... 3:2

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**

*ნახევარფინალი 4 მოგებამდე*

ჩიკაგო-მაიამი ... 103:82
სერიის ანგარიში ... 1:0

*მეოთხედფინალი 4 მოგებამდე*

ოკლაჰომა-მემფისი ... 105:90
სერიის ანგარიში ... 4:3

**ჩოგბურთი**

**ატპ. რომი. თიხა ფინალი**

ნადალი-ჯოკოვიჩი ... 4:6;4:6

**ვტა. რომი. თიხა ფინალი**

შარაპოვა-სტოსური ... 6:2;6:4

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

*ნახევარფინალი 4 მოგებამდე*

ვანკუვერი-სან ხოსე ... 3:2
სერიის ანგარიში ... 1:0

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ფინალი**

შვედეთი-ფინეთი ... 1:6

**მე-3 ადგილისთვის**

ჩეხეთი-რუსეთი ... 7:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## TV პროგრამა

**სამშაბათი 17 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "დრო" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 01.05** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"გადამჭრელი ზომები"** (12) (სუბტ.) **00.45** მოამბე **02.05** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"ამერიკის ფავორიტები"** **01.00** მხ. ფილმი **"ანაკონდა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა 20 ათასი **00.00** მხ. ფილმი **"ყავა და სიგარეტი"** (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.25** მხ.ფ. **"რა სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) (სუბტ.) **03.45** მხ. ფილმი **"24 საათი ტყვეობაში"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "მეფე და ბერი" **10.50** მოკლ. ფილმი **"ჭა"** **11.30** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ.ფ. **"შუშუნას მზითევი"** **13.45** კონცერტი – მ. ჩარკვიანი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"სათნოებათა კიბე"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დოკ. ფილმი "მოძღვარი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"ჩიორა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766
ევრო — 2,4901
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672
რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 19-13
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1§-23, ღამით — 11-13
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 14-17, ღამით — 3-11

## ამინდის პროგნოზი 17 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## იაო მინმა სასამართლოს მიმართა



„ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრმა იაო მინმა სასამართლოში უჩივლა სპორტული ატრიბუტიკის მწარმოებელ ჩინურ კომპანიას.

როგორც ირკვევა, კომპანია უკანონოდ იყენებდა იაოს სახელს სარეკლამო მიზნებისთვის. ამ პროცესის მსვლელობისას ფირმამ საქმეში ჩართო ჩინელი ცენტრის ფოტო და ავტოგრაფი.

იაოს წარმომადგენლები ორი კვირის განმავლობაში სასამართლოს ჩარევის გარეშე ცდილობდნენ ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ მეორე მხარემ დათმობაზე წასვლა არ მოისურვა.

ამიტომაც მინმა სასამართლოს მიმართა. თუმცა ამ სარჩელის მთავარი მიზანი არა კომპენსაციის მიღება, არამედ სხვა კომპანიების გაფრთხილებაა, რათა მათ უკანონოდ არ გამოიყენონ საუკეთესო ჩინელი კალათბურთელის პოპულარობა.

## ნინო ანანიაშვილი იაპონიისთვის იცეკვებს



ეკა ირემაშვილი

ქართველი პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი საქველმოქმედო სპექტაკლს გამართავს და იაპონიისთვის იცეკვებს. 11 მარტს იაპონიაში მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად ათასობით ადამიანი გარდაიცვალა და უსახლკაროდ დარჩა. სწორედ ამ სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა და დაზარალებულთა დასახმარებლად გაიმართება საქველმოქმედო საღამო.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქართველი ბალერინა რუსთაველის თეატრში შეკრებს საზოგადოებას და ნინო ანანიაშვილის ფონდი ეგიდით საქველმოქმედო გალა-კონცერტს ჩაატარებს. კონცერტი გაიმართება თბილისის ოპერისა და ბალეტის სა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 17 მაისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** — სახლში სიმშვიდეა, ყველაფერი კარგად არის. **კურო** — ახალი საქმე გაამართლებს. **ტყუპები** — ჩვეულებრივი დღეა, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — მშვენიერი დღეა, საღამოს კი სიურპრიზი გელით. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, დეპრესია აღარ გემუქრებათ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **თხის რქა** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** — ყველა საქმე გამოგივათ, მთავარია იაქტიუროთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 16 მაისიდან იყიდება 100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 5

სერვანტესი

გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი


## იუმორი



* * *

— ეჰ, გუშინ სულ ტყუილად ავურიე ერთმანეთში ლუდი და არაყი.
— რა იყო, თავი გტკივა?
— არა, დღეს აღარც ლუდი მაქვს და აღარც არაყი...

* * *

— როგორ ხარ?
— ცუდად.
— რა მოხდა?
— გუშინ ექიმთან ვიყავი, წარმოგიდგენია, წნევა — 120, 80-ზე, პულსი — 60
— რას ერჩი, ნორმალურია.
— რა არის ნორმალური, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ხელს მკიდებს, მე კი არც პულსი მიჩქარდება და არც წნევა მიწევს...

* * *

გინეკოლოგი ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა და ცოლს ეუბნება:
— აბა, ერთი მაჩვენე, უჩემოდ რას აკეთებდი...

გ.თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო წიგნი; 2. შიკრიკი, ამბის მომტანი; 3. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. სპორტული სარბოლო მანქანა; 6. ულელტეხილი აჭარაში; 9. მარდი, მამაცი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ქართველ მამაკაცთა ზედა ნაციონალური ტანსაცმელი; 15. მთავარი მოედანი ირანსა და შუა აზიის ქალაქებში; 17. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 19. მსუბუქი, რბილი მოვერცხლისფერო ლითონი; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული სახეებიანი თხელი, ბადურა ქსოვილი; 22. პურეული მცენარე.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ამერიკელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. მსუბუქი ჟანრის თეატრი; 12. ღვინის დანალექი; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 14. ქართველი მსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 18. მავნებელი მწერი; 20. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 23. ძველი გერმანული იმპერია; 24. ეგრისის მთავარი მე-6 საუკუნეში; 25. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 26. ბრიტანული არაყი; 27. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




ლურჯი ნითელი ყვითელი შავი